პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 13 აგვისტო, 1948 წ. № 160 (8204). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მომზადებული შევხვდეთ საშემოდგომო თესვას — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მოხსენება ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე (მე-2 გვერდი).
ყურადღება და დახმარება არ მოვაკლოთ სკოლებს! (მე-3 გვერდი).
დუნაის კონფერენციაზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

მომზადებული შევხვდეთ საშემოდგომო თესვას

მიმდინარე წელს საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ თავთავიანი მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი მოიყვანა. ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, ბრიგადა და რგოლი, რომელმაც ჰექტარზე საშუალოდ 120-150 ფუთი საშემოდგომო ხორბალი მიიღო, ხოლო ცალკეულ მოწინავეთა მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღალია. მიჩურინულმა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებამ და სოციალისტური მიწათმოქმედების ოსტატთა გამოცდილებამ კოლმეურნე გლეხობას უჩვენეს გზა დიდ ფართობებზე უხვი მოსავლის მოსაყვანად.

ახლა, როცა საკოლმეურნეო სოფლის წინაშე ძირითად ამოცანად დასახულია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომი ამაღლება, მთელი სიგრძე-სიგანით დგას საშემოდგომო მარცვლეული კულტურების მიღების აგროტექნიკურ ღონისძიებათა მტკიცედ დაცვის საკითხი. საშემოდგომო თესვის საუკეთესოდ ჩატარებით მტკიცე საფუძველი ეყრება 1949 წლის უხვ მოსავალს.

ჩვენი რესპუბლიკის მარცვლეულის მეურნეობაში საშემოდგომო პურეულის ნათესს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. შემოდგომის თავთავიანი მარცვლეული კულტურების ხვედრითი წონა თითქმის სამჯერ აღემატება საგაზაფხულო კულტურებისას. აქედან გამომდინარეობს ამოცანა ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საშემოდგომო თესვას, რაც მასობრივად სექტემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყება.

წელს საშემოდგომო თავთავიანი კულტურები, 70 ათას ჰექტარზე მეტი, ანეულზე დაითესება. ცნობილია, რომ ანეული მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებაა. მაგრამ ანეულს მაშინ აქვს დიდი ძალა, როცა კარგად არის მოვლილი. ანეულის მოვლას სერიოზული ყურადღება ექცევა ახალქალაქის, ახალციხისა და სიღნაღის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში. მაგრამ ბევრგან ანეულის კულტივაციას არ ატარებენ. მაგალითად, კაჭრეთის რაიონში 10 აგვისტოსათვის პირველი კულტივაცია ჩატარებული იყო მხოლოდ 141 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.669 ჰექტარისა. პირველი კულტივაცია ჩამორჩა თელავის, თეთრი წყაროს, ბოლნისისა და მცხეთის რაიონებშიც. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საერთოდ რესპუბლიკაში ანეულის მეორე კულტივაცია. დრო არ ითმენს. საჭიროა ანეულის კულტივაცია უახლოეს დღეებში დამთავრდეს. ანეული გასუფთავებული და გაფხვიერებული უნდა ვიქონიოთ დასათესად, ამას მოითხოვს კულტურული მიწათმოქმედების ელემენტარული წესი.

კარგი თესლი უხვი მოსავლის საწინდარია. წელს საშემოდგომო კულტურები მთლიანად ჯიშიანი თესლით უნდა დაითესოს. საამისოდ ყველა პირობა არის. ბევრგან უკვე იღებენ სათანადო ზომებს უფრო მოსავლიანი ჯიშების თესვაზე გადასასვლელად. ასე ხდება მაგალითად, წითელწყაროს და საგარეჯოს რაიონებში. საჭიროა კოლმეურნეობები თესლის გაცვლის ოპერაციებს ამთავითვე შეუდგნენ, რათა არც ერთი ჰექტარი არ დაითესოს ნაკლებ მოსავლიანი თესლით. აუცილებელია თესლი დროულად გაიწმინდოს და შემოწმდეს საკონტროლო-სათესლე ლაბორატორიაში.

წელს ფართოდ უნდა მივყოთ ხელი მწკრივად თესვას, რაც აამაღლებს მოსავლიანობას. ამ მხრივ მტს-ების ოპერატიულ მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. საჭიროა დაჩქარდეს მწკრივად სათესი მანქანების სრულ წესრიგზე მოყვანა.

საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების ერთი ნაწილი დაითესება შაქრის ჭარხლისა და სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ. მაშასადამე, ამ კულტურების აღებისთანავე ნიადაგი დროულად უნდა მოიხნას და მომზადდეს დასათესად. ხვნის გაჭიანურება ხელს შეუშლის თესვის დროულად დამთავრებას.

თესვის ვადების დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საშემოდგომო პურეულის მოსავლიანობის გადაჭრით ამაღლების საქმეში. თესვა ისეთ ვადებში უნდა ჩატარდეს, რომ ზამთრის დადგომამდე ნათესმა მოასწროს განვითარება. დაგვიანებული ნათესი ვერ ასწრებს კარგად დაფესვიანებას და დაბუჩქებას, ცუდად იტანს ზამთარს და ადვილად იჩაგრება გაზაფხულის უწვიმობით. თესვის დაგვიანება საგრძნობლად ამცირებს მოსავლიანობას, ზოგჯერ კი გვიანი ნათესი სრულიადაც ცდება. დაგვიანებით თესვა განსაკუთრებით საშიშია მაღლობ რაიონებში. მაშასადამე, განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება თესვის ვადის ზუსტად დადგენას და დაცვას. ამ მხრივ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ აგრონომებს. ისინი ვალდებული არიან დაეხმარონ კოლმეურნეობებს საშემოდგომო კულტურების საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დათესვის საქმეში.

საშემოდგომო თესვის ჩატარება ერთგვარ სიძნელესთან არის დაკავშირებული. თესვა ემთხვევა მოსავლის აღებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებას, მზრალად ხვნას და სხვა მნიშვნელოვან სამუშაოებს. საჭიროა მთელი ძალები და საშუალებანი ისე გავანაწილოთ, რომ უზრუნველვყოთ ყველა სამუშაოს დროულად შესრულება. ამ ამოცანის გადასაჭრელად ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მართებთ დიდი ოპერატიულობა. თვითეული კომუნისტი და კომკავშირელი დღიურ დავალებას გადაჭარბებით უნდა ასრულებდეს და სხვებისთვის მაგალითის მიმცემი იყოს. ნუ დავივიწყებთ, რომ სოფლის კომუნისტები პასუხისმგებელი არიან თავიანთ უბნებზე შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის სწორი ორგანიზაციისა და სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის. პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება აუცილებელი პირობაა თესვის მნიშვნელოვან უბნებზე საქმის კარგად დასაყენებლად.

მარცვლეულის მეურნეობაში საშემოდგომო კულტურების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიგვითითა თავის ისტორიულ გადაწყვეტილებაში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმმა. ეს გვიკარნახებს მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატაროთ საშემოდგომო ხვნა-თესვა, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ სახელმწიფო გეგმა.

ჯერ კიდევ არის დრო საშემოდგომო თესვისათვის მზადებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. საჭიროა გავაძლიეროთ სოფლად პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. უამისოდ შეუძლებელია ხვნა-თესვის ფრონტზე ახალი წარმატების მოპოვება.

ხაშურის რაიონმა ვადამდე შეასრულა პურის დამზადების გეგმა

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა 8 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულეს 1948 წლის პურის დამზადების გეგმა. ნაცვლად 548 ტონისა სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 620 ტონა პური.

პურის ჩაბარება წარმატებით გრძელდება.

15 აგვისტო სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

კვირას, 15 აგვისტოს, საბჭოთა ქვეყანა აღნიშნავს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

დღესასწაულისათვის მზადება მთელ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ფლოტისადმი ხალხის მზრუნველობისა და ყურადღების შემდგომი გაძლიერების, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომართა საბრძოლო მეგობრობის განმტკიცების ნიშნით.

მოსკოვის საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა მრავალრიცხოვანი საუბრები და მოხსენებები სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესახებ, შეხვედრები სამამულო ომის მონაწილე ცნობილ მეზღვაურებთან. დედაქალაქის ფაბრიკებსა და ქარხნებში, აგრეთვე ოლქის კოლმეურნეობებში იქმნება ფლოტის დამხმარე ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, რომლებშიც ათასობით მშრომელი შედის.

დღესასწაულის წინა დღეს, 14 აგვისტოს, მოსკოვში, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მწვანე თეატრში შესდგება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის საზეიმო სხდომა საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებთან და დედაქალაქის მშრომელებთან ერთად. დღესასწაულის დღეს მოსკოვის ბაღებსა და პარკებში ეწყობა მასობრივი სახალხო სეირნობანი.

ფლოტებისა და ფლოტილიების ბაზებში, ყველა ზღვისპირა ქალაქებში —ლენინგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, რიგაში, ტალინში, ბაქოში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და სხვა ქალაქებში 15 აგვისტოს ფლოტის დღის პატივსაცემად გაიმართება მასობრივი დღესასწაული. რეიდებზე ჩატარდება სამხედრო ხომალდების პარადი. ყველგან მოეწყობა სახალხო სეირნობა და სპორტული შეჯიბრებანი.

ჩვენს რესპუბლიკაში

ქვანახშირის ახალი გამაუხვებელი ფაბრიკა

სადგურ ტყიბულის მახლობლად დაიწყო ქვანახშირის გამაუხვებელი გიგანტი-ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკის დანიშნულებაა მიაწოდოს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას კოქსვადი ქვანახშირი.

ფაბრიკის მახლობლად სწარმოებს მდინარე ტყიბულას ნაპირების გასამაგრებელი საყრდენი კედლის აგება, რომლის საერთო სიგრძე 1.113 მეტრია. ამ კედლის მშენებლობაზე 4 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ბინების მშენებლობაზე, რისთვისაც 27 მილიონი მანეთია გადადებული. უკვე აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ფაბრიკის პირდაპირ მდინარე ტყიბულას გასწვრივ გაკეთდება მოასფალტებული სანაპირო ქუჩა, რომელსაც დეკორაციული მცენარეები დაამშვენებს. სანაპირო ქუჩა გაჩირაღდნებული იქნება ელექტროჭაღებით. აქვე აშენდება კულტურისა და დასვენების ბაღი.

ქვანახშირის გამაუხვებელი ფაბრიკის მშენებლობა 1950 წელს დამთავრდება.

(„კომუნისტის" კორ.).

შორაპნელი მტვირთავების წარმატება

სადგურ შორაპნის დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორის კოლექტივმა აგვისტოს პირველ ხუთდღიურში შეასრულა საერთო დატვირთვის 8 თვის გეგმა. სტახანოველი მტვირთავების გ. გაჩეჩილაძის, ა. დვალის და უ. გრძელიშვილის ბრიგადებმა 1 აგვისტოსათვის ათ-ათი თვის გეგმები შეასრულეს.

მტვირთავთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს შოთა და ისმაილ ქათამაძეებმა და დ. სიორიძემ, რომლებიც ყოველდღიურად ორნახევარ ნორმას ასრულებენ.

(„კომუნისტის" კორ.).

შესრულებულია 8 თვის გეგმა

7 ნოემბრისათვის საწარმოო გეგმის შესრულებაში ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კოლექტივი მოწინავეთა რიგებშია. მანქანათმშენებლებმა 10 აგვისტოსათვის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა 101,5 პროცენტით გაანაღდეს. ექვს თვეში მათ 15 პროცენტით შეამცირეს თვითღირებულება. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 7,3 პროცენტით. ნახევარი წლის განმავლობაში საქარხნო დაგროვებამ 605 ათას მანეთს მიაღწია.

წარჩინებულმა მანქანათმშენებელმა—მღარავმა ლ. გოქაძემ 2,5 წელიწადში 9 წლის გეგმა შეასრულა, ზეინკლებმა შ. ომანიძემ და ი. მაჩაბელმა 9 და 8 წლის ნორმები გაანაღდეს, ხარატმა ვ. ამირგულოვმა 8 წლის, მჭედლებმა ნ. ბორზუჩენკომ და ი. ბროვჩენკომ თვითეულმა შვიდნახევარი წლის, ლითონმსხმელმა ს. ესკინმა 7 წლის, ხოლო მრანდავმა გ. პეტროსიანმა—7 წლისა.

ორი ახალი სისტემის მანქანა

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ივლისში აითვისა და საცდელად გამოუშვა ახალი სისტემის — ბოთლებში მექანიკურად ღვინის ჩამსხმელი მანქანა, რომლის წარმადობა 8 საათში 8.000 ლიტრია.

წლის ბოლომდე ნავარაუდევია გამოუშვან 100 ცალი ასეთი მანქანა.

დამზადებულია აგრეთვე საცდელი ეგზემპლარი ახალი „ვიტიმის" სისტემის მანქანისა, რომელიც მექანიკურად აწარმოებს თამბაქოს ნედლი ფოთლის აცმას თოკზე.

შვიდ თვეში 78.641.500 მგზავრი

თბილისის ტრამვაის ვაგონებით მიმდინარე წლის განვლილ შვიდ თვეში ქალაქის ფარგლებში გადაყვანილია 78.641.500 მგზავრი. მარტო ივლისში მგზავრთა გადაყვანის გეგმა ტრამვაის მიერ შესრულებულია 102,8 პროცენტით.

ვაგონების ხაზზე გამოშვების გეგმა შესრულებულია 105,8 პროცენტით, ვაგონების რემონტისა — 101.9 პროცენტით, ლიანდაგის რემონტისა — 120,2 პროცენტით და საჰაერო ხაზის რემონტის გეგმა—122,2 პროცენტით.

გორის რაიონის კოლმეურნეობას „გზა სოციალიზმისაკენ" გაშენებული აქვს 44 ჰექტარი ხეხილის ბაღი. წელს ხეხილს კარგად ასხია.

სურათზე: კოლმეურნე ნ. მიდელაშვილი ბაღში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

აგიტმხატვრული კოლექტივები მოსავლის აღების დღეებში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის კულტურის ცენტრალურმა სახლმა მოსავლის აღების დღეებში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში მიავლინა აგიტმხატვრული ბრიგადები, რომელთა შემადგენლობაში შედიან ლექტორები, პოეტები და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები (დრამატული, მუსიკალური, ქორეოგრაფიული, ვოკალური და სხვა).

• • •

ამბროლაურის კულტურის სახლთან შეიქმნა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი დ. ხუციშვილი ხელმძღვანელობს.

აგიტმხატვრულმა კოლექტივმა უკვე გამართა წარმოდგენები ღადიშისა და პატარა ონის კოლმეურნეობებში.

(„კომუნისტის" კორ.)

გრძელვადიანი სესხი კოლმეურნეებს

წელს გორის რაიონის კოლმეურნეებმა ინდივიდუალური სახლების მშენებლობისა და ძროხების შესაძენად გრძელვადიანი სესხის სახით სახელმწიფოსაგან 260.000 მანეთი მიიღეს.

სოფელ ატენში მცხოვრებ ეკატერინე ჰეჰელაშვილს, რომელსაც ქმარი სამამულო ომში დაეღუპა, სახლის შესაკეთებლად სესხად მიეცა 5.000 მანეთი, იმავე სოფლის მცხოვრებ ანიკო ბესტავაშვილს — 4.000 მანეთი. ახალი სახლის ასაგებად სესხი მიიღო აგრეთვე სოფელ ძევერის მცხოვრებმა სამამულო ომის ინვალიდმა პეტრე ჯავახიშვილმა.

კოლმეურნეთა უძრობის სალიკვიდაციოდ წელს გასაცემი 180.000 მანეთიდან, გაცემულია 120.000 მანეთი.

(„კომუნისტის" კორ.)

მტს-ები გეგმის გადამეტებით იღებენ პურს

საქართველოს სს რესპუბლიკის მტს-ებმა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა 4 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს. ახლა რესპუბლიკის ბევრი მტს-ი გეგმის გადამეტებით იღებს პურეულს. მოსავლის აღების დავალება არ შეუსრულებია მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და გორის, გურჯაანის, ახმეტის, ყვარლის, მარნეულისა და დმანისის რაიონების მტს-ებს.

ახალი კარტოფილი

საქართველოს 12 რაიონში დაწყებულია კარტოფილის ახალი მოსავლის აღება. აგვისტოს მარტო მეორე ხუთდღიურში კოლმეურნეობებში აღებულია 106 ჰექტარი, სულ კი 434 ჰექტარი კარტოფილი.

თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა 198 ჰექტარი კარტოფილი აიღეს, სიღნაღის რაიონის — 61, ბოლნისის — 36, კაჭრეთის — 28, თბილისის — 20, თელავის — 21, საგარეჯოს — 12, გარდაბნის — 4, გურჯაანის — 17, ბორჯომის — 10, ქარელის — 5, ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა — 22 ჰექტარი.

ინჟინერ გ. ფანცულაიას გამოგონება

ინჟინერი გ. ფანცულაია ჭიათურის მარგანეცის ტრესტის საპროექტო განყოფილების უფროსია. ამ დღეებში მან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებათა და აღმოჩენათა სამმართველოდან მიიღო საავტორო მოწმობა საჰაერო გზის ვაგონის ავტომატური გაცლის კონსტრუქციის დამუშავებაზე.

ამ გამოგონების მიხედვით დატვირთული ვაგონი შეიძლება ავტომატურად გადაცლილ იქნას ჩვენთვის სასურველ დროსა და ადგილზე. ინჟინერ ფანცულაიას გამოგონება დაინერგა კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში და ლენინის სახელობის მაღაროს გამამდიდრებელ ფაბრიკაში. მან საუცხოო ეფექტი გამოიღო.

გამოგონების მნიშვნელობა ის არის, რომ ამცირებს პირველადი კაპიტალური დაბანდების ხარჯებსა და მუშახელს. მარტო ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის საწყობზე ამ გამოგონების გამოყენება წელიწადში მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს გადაწყვეტილებით ამხ. ფანცულაიას გამოგონება ინერგება ქალაქ ნიკოპოლის (უკრაინა) საწარმოებში.

(„კომუნისტის" კორ.).

ფაბრიკებსა და ქარხნებში

⊙ **თბილისის ფეხსაცმლის** პირველ ფაბრიკასთან ახალმოსული მუშებისათვის მოეწყო ორთვიანი კურსები ცხელი ვულკანიზაციის მეთოდით ფეხსაცმლის დამზადების შესასწავლად. კურსები უკვე დაამთავრა 30 კაცმა. ისინი მუშაობენ ვულკანიზაციის მეთოდით ფეხსაცმლის დამზადებაზე.

⊙ **ოთხი ქარხანა-წისქვილი** შენდება ამჟამად საქართველოში. გარდა თბილისის ქარხანა-წისქვილისა, რომელიც დღე-ღამეში ათეული ტონობით ხორბალს დაფქვავს, ასეთივე ქარხანა-წისქვილები ამუშავდება ფოთში, წნორსა და ბორჯომში.

⊙ **ამიერკავკასიის რკინიგზის** უფროსმა დააჯილდოვა ქუთაის-ტყიბულის სარკინიგზო ხაზის ელექტროფიკაციაში დაწინაურებული მშენებლები. 12 სტახანოველი მშენებელი დაჯილდოებულია „სტალინური გაწვევის დამკვრელის" ნიშნით, 14 კაცი წარჩინებული მშენებლის ნიშნით, 3 კაცი წარჩინებული მეორთქმავლის ნიშნით და ა. შ.

⊙ **თბილისის საბავშვო რკინიგზას** წელს 13 წლისთავი შეუსრულდა, რაც დიდი ზეიმით აღნიშნეს თბილისელმა პიონერებმა. პიონერთა ზეიმს, რომელიც ამას წინათ შესდგა ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, დაესწრნენ სოციალისტური შრომის გმირი ა. წიკლაური, პროფესორი მაისუროვი და თბილისის მოწინავე რკინიგზელები.

⊙ **ტრამვაი-ტროლეიბუსის** სამმართველომ შეიძინა 5 ახალი სატროლეიბუსო ვაგონი, რომლებსაც თბილისში ახლო ხანში მოელიან. სატროლეიბუსო ვაგონთა მიღების შემდეგ გადაწყვეტილია მეორე სატროლეიბუსო მარშრუტის აღდგენა (ჩელუსკინელების ხიდზე გავლით).

ჩაის კრეფა ერთიორად გააძლიერეს

საქართველოს მთელმა რიგმა საბჭოთა მეურნეობებმა აგვისტოს მეორე ხუთდღიურში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა ერთიორად გააძლიერეს. საბჭოთა მეურნეობებში სულ აგვისტოს მეორე ხუთდღიურში მოკრეფილია პირველ ხუთდღიურზე 1.494 ტონით მეტი ჩაი. წლიური გეგმა შესრულებულია 72 პროცენტით, ივლისისა—30 პროცენტით.

ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობაში აგვისტოს დავალება, წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით, 10 დღეში 51,2 პროცენტით შეასრულეს, ნარაზენის მეურნეობაში—42,3 პროცენტით, ხეცერის—40,7, ნატანების—35, ჩაქვისა და დიდი ჰყონის—33, ინგირის — 31,5, ცეცხლაურის—31,1, ლაითურის—31, მოქვისა და გონიოს—30, აჩიგვარის—29, ოჩხამურის — 28,1, წულუკიძის—16,9, ლესიჭინის — 22, წალენჯიხის—18,4, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში—23,5 პროცენტით, აჭარის ჩაის ტექნიკუმის მეურნეობაში—50 პროცენტით.

ახალი წარმატებანი მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციაში

სოფლის ელექტროფიკაციის დარგში სოციალისტური შეჯიბრების შედეგად, რაც მოსკოვის ოლქის რაიონებსა და იმ სამრეწველო საწარმოებს შორის გაჩაღდა, რომლებიც კოლმეურნეობებს შეფობენ, საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის საქმეში შეტანილია ახალი წვლილი.

ამა წლის 7 თვის განმავლობაში ოლქის რაიონებში აშენდა 84 საკოლმეურნეო ელექტროსადგური, ხოლო 83 ელექტროსადგურში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები სწარმოებს. გაყვანილია 2.460 კილომეტრი მაღალვოლტიანი და დაბალვოლტიანი ელექტროხაზები და ელექტროფიცირებულია 650 კოლმეურნეობა. ილიჩის ნათურა აენთო 18.887 კოლმეურნის სახლსა და საზოგადოებრივ-საწარმოო შენობაში.

1948 წლის 1 აგვისტოსათვის ოლქის მთლიანი ელექტროფიკაციის რაიონთა რაოდენობამ 15-ს მიაღწია, ხოლო ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობათა საერთო რიცხვმა — 3.000-ზე მეტს. ბევრ კოლმეურნეობას აქვს ელექტროსალეწი პუნქტები, რომლებიც მთელ დღეღამეს მუშაობენ ახალი მოსავლის მარცვლეული კულტურების გასალეწავად.

საშეფო სასოფლო რაიონებს დიდ დახმარებას უწევენ ქალაქ მოსკოვის კიევის, ფრუნზეს, ძერჟინსკის, რკინიგზის რაიონები, აგრეთვე ქალაქები სერპუხოვი და ზაგორსკი და ოლქის უხტომსკის რაიონი.

ელექტროსადგურების მშენებლობასა და კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციაში ქალაქ მოსკოვის 600-ზე მეტი სამრეწველო საწარმო და ორგანიზაცია და ოლქის სამრეწველო ცენტრი მონაწილეობს. საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს: ქარხანა „იზოლატორმა", საპროჟექტორო ქარხანამ, დულევოს ფაიფურის ქარხანამ, ქარხანა „მოსკაბელმა", ტიმოშენკოს სახელობის ქარხანამ, ქარხნებმა „სერპ ი მოლოტმა", „იზოლიტმა", გზათა სამინისტროს სალიანდაგო მეურნეობის სამმართველომ, საბჭოების სასახლის მშენებლობის სამმართველომ და ბევრმა სხვამ.

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალებში მიღწეული წარმატებებისათვის პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოსკოვის ოლქს პირველი ადგილი მიანიჭეს.

უმაღლეს სასწავლებლებში ნაციონალურ რესპუბლიკათა ახალგაზრდობის მიღების ახალი წესი

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით 1948-49 სასწავლო წლისათვის შემოღებულია მოსკოვის, ლენინგრადის და მთელი რიგი სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში ნაციონალურ რესპუბლიკათა ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ჯგუფის მიღების შეღავათიანი წესი.

იმ ქართველების, აზერბაიჯანელების, უზბეკებისა და ყირგიზებისათვის, ვისაც სურს შევიდეს დედაქალაქის და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც ნაციონალური რესპუბლიკების ფარგლებს გარეთ მდებარეობენ, მისაღები გამოცდები ეწყობა შესაბამისად თბილისის, აზერბაიჯანისა და შუა აზიის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ყირგიზეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ვინც გამოცდას ჩააბარებს, იგზავნება უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსს გარეშე ჩასარიცხავად.

მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსს გარეშე მიღებული იქნება აგრეთვე ჩერქეზ, აბაზ და ნოღაელ სტუდენტთა ჯგუფი, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ.

იაკუტიის პედაგოგიურ ინსტიტუტთან შეიქმნა ცენტრალური უმაღლესი სასწავლებლებისათვის მოსამზადებელი კურსები. მისაღები გამოცდები ინსტიტუტთან მოეწყობა. (საკდესი).

სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების მინიჭება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის სახელწოდება მიანიჭა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს — ს. შუდრას, ა. კიკნაძეს, გ. ჯეჯელავას, ვ. პანიუკოვს და ტანმოვარჯიშე ნ. თაყაიშვილს.

აკადემიკოს ჭ. დ. ლისენკოს მოხსენება

ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე

მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში*

ოსტატური ჰიბრიდიზაციის საშუალებით, სქესობრივი გზით ჯიშებია გაერთიანებით შეიძლება ერთ ორგანიზმში ერთბაშად გაგაერთიანოთ ის, რაც მრავალი თაობის მიერ ასიმილირებული და განმტკიცებული იყო შესაჯვარებლად აღებულ ჯიშებში. მაგრამ, მიჩურინის მოძღვრების თანახმად, ვეგეტაციური ჰიბრიდიზაცია დადებით შედეგს ვერ მოიტანს, თუ არ შეიქმნა პირობები, რომელიც ხელს უწყობენ ასეთ თვისებათა განვითარებას, რომელიც მემკვიდრეობით უნდა გადაეცეს გამოსაყვან ან გასაუმჯობესებელ ჯიშებს.

მიჩურინის მოძღვრება მე ჩამოვაყალიბე მხოლოდ ზოგადად. ამ მნიშვნელოვანია მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამსოლუტურად საჭიროა ყველა საბჭოთა ბიოლოგმა რაც შეიძლება ღრმად შეისწავლოს ეს მოძღვრება. ბიოლოგიის სხვადასხვა დარგის მეცნიერი მუშაკებისათვის მიჩურინის მოძღვრების ქმედით თეორიულ დებულებათა დაუფლების საუკეთესო გზას წარმოადგენს მიჩურინის ნაშრომთა შეისწავლის გზა, მრავალგზის მათი წაკითხვის გზა, მის ცალკე ნაშრომთა გარჩევა პრაქტიკულად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის თვალსაზრისით.

სოციალისტურ მიწათმოქმედებას ესახელება გავითარებული, ღრმა ბიოლოგიური თეორია, რომელიც დაგეგმზარეთოდა სწრაფად და სწორად გაკვეთუმჯობესებენა მეცნარეთა გაშენებისა და მათგან უხვი მყარი მოსავლის მიღების აგრონომიული ხერხები. ამს ესახელება ღრმა ბიოლოგიური თეორია, რომელიც დაბპრაბს ბაგეურ სოფლის მეურნეობის მუშაკებს უმოკლეს ვადებში გამოიყენონ მეცნარეთა საჭირო მაღალნაყოფიერი ფორმებში, რომელიც თავისი ჯიშით შეეფერებიან მაღალნაყოფიერებას, რასაც კოლმეურნეები თავიანთი მინდერებში ჰქმნიან.

თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა საბჭოთა მეცნიერების სწორი ფართო გზაა. მიჩურინის მოძღვრება არის აწრად ასეთი მოძღვრება, რომელიც ბიოლოგიურ მეცნიერებაში ამ ერთიანობას საუკეთესო ფორმით ახორციელებს.

მე არაერთგზის მომიყვანია ჩემს გამოსვლებში მემეცნარეობის სხვადასხვა დარგებში პრაქტიკულად მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად მიჩურინის მოძღვრების ნაყოფიერად გამოყენების მაგალითები. ამ შემთხვევაში ნებას მივცემ ჩემს თავს მოკლედ შეეხო მხოლოდ მეცხოველეობის ზოგიერთ საკითხს.

ცხოველთა, იმე როგორც მეცნარეთა ფორმები ყალიბდებიდნენ ნაკლებ ალბდებიან მათი სიცოცხლის პირობებთან, გარემოს პირობებთან მჭიდროდ კავშირით.

შინაური ცხოველების პროდუქტიულობის გადიდების, არსებული ჯიშებია სრულყოფისა და ახალი ჯიშების შექმნის საფუძველს წარმოადგენა ალკვები და მოვლის პირობები. ეს კანაკეთურნები ბმიშვნელოვანია ბეტონაციის ეფექტიანობია გასაძლიერებლად. სხვადასხვა მიზნისათვის, მოვლის სხვადასხვა პირობებში ადამიანება გაჩიჩყადათ და გამოჰყავთ შინაური ცხოველების სხვადასხვა ჯიშები, ამ ალბ თვითეული ჯიში მოითხოვს სიცოცხლის თავის პირობებს, იმ პირობებს, რომელიც მის ფორმირებაში მონაწილეობენ.

რამდენადაც მეტი იქნება განსხვავება ჯიშის ბიოლოგიურ თვისებებსა და სიცოცხლის პირობებს შორის, რომელიც ცხოველებისათვის იქნება, მეურნეობრივად იმდენადვე ნაკლებ ხელსაყრელი იქნება ცხოველთა ეს თუ ის ჯიში.

მაგალითად, მცირე წველადობის პირტუსვი, რომელსაც თავისი ბუნებით არ შეუძლია ბეური რძის მოცემა, იყენებს კარგ, ნოყიერ სამოვრებს, წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით კარგ კვებაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაკლები სამეურნეო სარგებლობა მოაქვს, ვიდრე მაღალი წველადობის ჯიშს. ამ შემთხვევებში პირველი ჯიშის ეფექტურობიდან ამაკრად ჩამორჩენილი იქნება მისთვის შექმნილი პირობებისაგან. ასეთი პაუტუყეის ჯიშის აქვეთრად უნდა გაუმჯობესეს მეტიზაციის გზით, შეკუმეტ იქნას კვებისა და მოვლის პირობებთან.

პირიქით, ჯიშის მიხედვით მაღალი წველადობის პირტუყეი, თუ ცუდი კვებისა და მოვლის პირობებში ჩავარდა, რა თქმა უნდა, არათუ არ მოგვცემს თავისი ჯიშის შესაფერის პროდუქციას, არამედ გამძლეობის მხრივაც არ იავარგებს. ასეთ შემთხვევებში საჭიროა კარგად შეეფგუოთ მის ჯიშს კვებისა და მოვლის პირობები.

ჩვენმა ზოოტექნიკურმა მეცნიერებამ და პრაქტიკამ, რომლებიც ეახლარო რაოდენობისა და ხარისხის მეტზოველეობის პროდუქციის მიღების სახელმწიფო გეგმას ემყარებიან, მთელი თავისი მუშაობა უნდა ააკოს შემდეგი პრინციპის თანახმად: **კვების, მოვლისა და ჰაეის პირობების მიხედვით შეარჩიოს და გააუმჯობესოს ჯიშები და ამასთან განუწყვეტლივ, ჯიშების შესაბამისად შეჰქმნას კვებისა და მოვლის პირობები.**

ჯიშიანი ცხოველების შერჩევა, რომლებიც საუკეთესოდ შეეფერებიან დასახულ მიზანს, კვებისა და მოვლის ამ პირობების გაუმჯობესებასთან ერთდროულად, რომლებიც ხელს უწყობენ ცხოველების განვითარებას საჭირო მიმართულებით, — ჯიშების განუწყვეტელი გაუმჯობესების ძირითადი გზაა.

მეტიზაცია მოცემული ცხოველების ჯიშის — შთამომავლობის შეცვლის რადიკალური და სწრაფი საშუალებაა.

მეტიზაციის — ორი ჯიშის შეჯვარების დროს — სწარმოებს თითქოს შესაჯვარებლად აღებული ორი ორი ჯიშის გაერთიანება, რომლებიც ადამიანებმა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენეს ცხოველთა სიცოცხლის სხვადასხვანაირი პირობების შექმნის გზით. მაგრამ მეტისების ბუნება (მემკვიდრეობითობა), განსაკუთრებით პირველი განეკრაცი, ჩვეულებრივად არაჭარია, ადვილად ეფორჩილება სიცოცხლის, კვებისა და მოვლის პირობების ზეგავლენას.

ამიტომ მეტიზაციის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავიცვათ შემდეგი წესი: ამა თუ იმ ადგილობრივი ჯიშისთვის შეეგარნოთ მეორე, მისი გამაუჯობესებელი ჯიში, კვების, მოვლისა და ჰაეის პირობების თანახმად. ამასთან, მეტიზაციის დროს, ადგილობრივი ჯიშისათვის მისაცემ ნიშან-თვისებათა განსაკუთარებლად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას კვებისა და მოვლის პირობები, რომლებიც შეეფერებიან ახალ გამაუჯობესებელ საჯიშე თვისებებს; სხვანირად შეიძლება სასურველი თვისებანი ვერ შეითვისოს ადგილობრივმა გასაუჯობესებელმა ჯიშმა, ხოლო ადგილობრივი ჯიშის კარგ თვისებათა ნაწილი შეიძლება კიდეც დაკარგოს.

ჩვენ მოვიყვანეთ მეცხოველეობაში მიჩურინის მოძღვრების ზოგადი საუფლებანის გამოყენების მაგალითი, რათა ცხადყოთო, რომ საბჭოთა მიჩურინელ გენეტიკა, რომელიც გამოგლინებს ცოცხალი სხეულების განვითარების ზოგად კანონზომიერებას პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად, შეიძლება გამოყენებულ იქნას მეცხოველეობაშიც.

მიჩურინის მოძღვრების დაუფლება ამავე დროს უნდა იყოს ამ მოძღვრების განვითარება და გაღრმავება, ენეგიერული ბიოლოგიის განვითარება. სწორედ ასეთი უნდა იყოს მიჩურინელ ბიოლოგთა ყადრების ზრდა, ეაც ესოდენ საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისთვის სულ უფრო მეტი მეცნიერული დახმარების განსახორციელებლად, იმ ამოცანთა გადასაჭრელად, რომლებიც მათ პატრონამ და მთავრობამ დაუსახეს. (ტაში).

8. მიჩურინული მოძღვრება — ახალგაზრდა საბჭოთა ბიოლოგების კადრებს

სამეურნეოდ, მიჩურინული მოძღვრების სწავლება ჩვენს სასწავლებლებში დღემდე არ არის მოწყობილი. ამაში დიდი ბრალი მიგვიძღვის ჩვენ, მიჩურინელებს. მაგრამ შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამაში ბრალი მიეძღვიან სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და უმაღლესი განათლების სამინისტროსაც.

დღემდე მეტნილ უმაღლეს სასწავლებლებში გენეტიკისა და სელექციის კათედრებზე და ბევრ შემთხვევაში დარგინიზმის კათედრებზე ასწავლიან მენდელიზმ-მორგანიზმს, ხოლო მიჩურინული მოძღვრება, მიჩურინული მიმართულება მეცნიერებაში, ბოლშევიკური პარტიის მიერ და საბჭოთა სინამდვილით გამოწურობილი მოძღვრება უმაღლეს სასწავლებლებში დაჩრდილულია.

ბგიეე შეიძლება იოქვას ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების მიმართულებაზეც. ილუსტრაციისათვის დავიმოწმებთ შემდეგს. სტატიაში „სადოქტორო დისერტაციებისა და ოპონენტთა პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა ეკონლი „ეკონომიკა ვიაზეი „ბოლის“ 1945 წლის № 3-4 ნომერში, აკადემიკოსი ა. ბ. ეუკოფსკი, რომელიც უმაღლეს სატესტაციო კომისიისაგან არსებული საეკსპერტო ბიოლოგიური კომისიის თავმჯდომარეა, სწერდა: „ძმეაგე მდგომარეობა შეიქმნა გენეტიკის დარგში დისერტაციების მრავ. **დისერტაციები გენეტიკის დარგში მეტად აშფოთა ჩვენში,** ეროვნული კი. ეს ინსტიტუტი მემკვიდრეობითობა ქრომოსომური თეორიის მოძრაველა და ამ უკანასკნელის მოწინააღმდეგეებს შორის არანორმალური ურთიერთობით, რომელიც მტრობის ხასიათის იღებს. სამართალე რომ ეთქვათ, პირველი ეშინიათ მეორეებისა, რომელნიც მეტად აგრესიული არიან თავიანთ პოლემიკაში. უმეტესებისა ბოლო მოეღოს ასეთ ძდგომარეობას. არც პარტია და არც მთავრობა არ ერძალავენ მემკვიდრეობითობის ქრომოსომურ თეორიას, და იგი თავისუფლად ისწავლება უმაღლესი სასწავლებლების კათედრებზე. ხოლო პოლემიკა დაე გაგრძელდეს“ (გვ. 30)

უწინარეს ყოვლისა შეეგნშნავთ, რომ თავისი გაანალიზებით ბ. ბ. ეუკოფსკი ადასტურებს, რომ მემკვიდრეობითობის ქრომოსომურ თეორიას თავიანთ ეფექტიანობაზე უმაღლესი სასწავლებლების კათედრებზე. ეს ალიარებენ იგი მართალია. მაგრამ იგი უფრო მეტისაკენ მიისწრაფვის: მას სურს მენდელიზმ-მორგანიზმის უფრო მეტი აყვავება უმაღლეს სასწავლებლებში. მას სურს, რომ ჩვენ რაც შეიძლება მეტი გვყავდეს მენდელიზ-მორგანისტი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, რომლებიც ადგე უფრო გაფართოებული მასშტაბით ბაენრგავდნენ უმაღლეს სასწავლებლებში მენდელიზმ-მორგანიზმს. კაცმა რომ სთქვას, სწორედ ამ მიზნისადმი მიძღვნილია მნიშვნელოვანი ნაწილი აკადემიკოს ეუკოფსკის სტატიისა, რომელიც ასახავს მის საერთო ბაზს, როგორც ბიოლოგიური კოსმისეის თავმჯდომარისას.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ დისერტაციებს გენეტიკის დარგში, რომლებშიც დისერტანტი თუნდაც გაუბედავად შეეცდებოდა მიჩურინელი გენეტიკის ამა თუ იმ დებულების განვითარებას, საექსპერტო კომისია ყოველნაირად აფერხებდა. მორგანისტების დისერტაციები კი, რომლებსაც ბ. ბ. ეუკოფსკი მფარველობს, არც თუ ისე იშვიათად ქვეყნდებოდა და მტაცებლებოდა, ყოველ შემთხვევაში უფრო წმრიადი, ვიდრე ეს ნამდვილი მეცნიერების ინტერესებს შეესაბამება. მართალია, ამგვარი, თავიანთი მიმართულებით მორგანისტული, დისერტაციები უფრო ინვიათად იბეჭდებოდა, ვიდრე ეს აკადემიკოს ბ. ბ. ეუკოფსკის სურს. მაგრამ ამისათვის საფუძველები არსებობს. ახალგაზრდა მეცნიერებს, რომლებიც ფილოსოფიურ საკითხებში ერკვევიან, ან უკანასკნელ წლებში მორგანიზმის მიჩურინული კრიტიკის გავლენით ეცმინ, რომ მორგანიზმის შეხედულებანი სრულიად უცხოა საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობისათვის. ამის მიხედვით სახარბიელო ვერ არის პოზიცია აკადემიკოს ბ. ბ. ეუკოფსკისა, რომელიც ახალგაზრდა ბიოლოგებს უჩიგეს ყურადღება არ მიაქციონ მორგანიზმის კრიტიკას მიჩურინელების მიერ და გაგზარძონ მორგანიზმის განვითარება.

საბჭოთა ბიოლოგები სწორად იქცევიან, მორგანიზმის შეხედულებებს რომ უარსყოფენ და ქრომოსომური თეორიის სქოლასტიკის მოსმენაზე უარს აცხადებენ. ისინი ყოველთვის და ყველგან მოიგებენ, თუ უფრო მეტს და უფრო ზშირად ჩაუკვირდებიან მიჩურინის სიტყვებს სწორედ ამ სქოლასტიკის შესახებ.

ი. ვ. მიჩურინს მიაწერდა, რომ მენდელიზმი „ეწინააღმდეგება ბუნებრივ სამართლეს ბუნებაში, რომელსაც მცდარად ბოგეულ მოვლენათა ეერავეთარი ხელოვნური შეაოწერეს ვერ გაუმკლავდება. ჩემი სურვილია, — სწერდა მიჩურინი, — რომ მიუდგომლად მოაზროვნე მეთვალყურე მეჩერდეს ჩემი დასაკვნის წინაშე და პირადად გაეწოოს კონტროლი ამ დასკვნების სისწორეს, ეს დასკვნები საფუძველია, რომელსაც ჩვენ ვუანდერძებთ მომავალ საუკუნეთა და ათასეულ წელთა ბუნებისმეტყველ[*].

მოვლენებს შორის, ცალკეულ სხეულთა ან არა ერთგვარ საშუშოდგომო. მიჩურინელები საბაუბაფულო ხორბლის სამეთოდგომო ხორბლად გადაქცევის კარგ ხერხს დაეუფლნენ. უკვე ნათქვამი იყო, რომ ბევრი საგაზაფხეულო ხორბალი ეესაბუფლებულად გადაქეცეული სამეთოდგომო ხორბლად. მაგრამ ყოველივე ეს რბილი ხორბლის სახეობას ეხება. ხოლო როცა მაგარი ხორბლის სამეთოდგომო ხორბლად გადაქცევას, გარდაქმნას შევეფდეთო, აღმოჩნდა, რომ ორ-სამ-ოთხ წელიწადს შემოდგომაზე დათესვის შემდეგ (რაც აუცილებელია საგაზაფხეულო ხორბლის სამეთოდგომოდ გადაქცევისათვის), დურუმი ეულგარედ იქცევა, ე. ი. ერთი სახეობა იქცევა მეორე სახეობად. დურუმის ფორმა ე. ი. 28-ქრომოსომიანი ხორბალი იქცევა რბილი 42-ქრომოსომიანი ხორბლის სხვადასხვა ნაირსახეობად, ამასთან დურუმისა და ვეულგარეს სახეობათა შორის გარდამავალ ფორმებს ვერ ეხვდებით. **ერთი სახეობის მეორე სახეობად გადაქცევა ნახტომისებრად ხდება.**

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ახალი სახეობის წარმოქმნის ამზადებს საეციფიკურ ახალ ბარიერებში მთელ რიგ თეობებში სახეშეცვლილი ცხოველთ მოქმედება. ჩვენს შემთხვევაში აუცილებელია შემოდგომა-ზამთრის პირობების ზემოქმედება მაგარი ხორბლის ორი-სამი-ოთხი თაობის განმავლობაში. ამ შემთხვევებში მას შეუძლია ნახტომისებრად გადაიქცეს რბილ ხორბლად, ისე რომ ამ ორ სახეობას შორის არავითარი გარდამავალი ფორმა არ გვექნეს.

ვფიქრობ, უსარგებლო არ იქნება აღვნიშნო, რომ ღრმა თეორიის—სახეობის პრობლემის საკითხის, სახეობის შიგნით და სახეობათა შორის ინდივიდუუმთა ურთიერთობის საკითხის დაყენების სტილეი ჩემთვის იყო და არის არა უბრალო ცნობისმოყვარეობა, არა შიშელი თეორეტიზირების უბრალო სიყვარული. ამ თეორიული საკითხებისათვის ხელი მომაკიდებინა მეშაობამ უაღრესად პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად. სახეობის შიგნით და სახეობათა შორის ინდივიდუუმთა ურთიერთობის სწორი გაგებისათვის საჭირო გახდა ნათელი წარმოდგენა ფორმების სახეობისშიდა და სახეობათაშორისი ურთიერთობაზე საკითხზე.

ადგილ და მიმწოფდა იმის აუცილებლობა, რომ სახეობათა წარმოქმნის საკითხი გადაისინჯოს რაოდენობრივი ზრდის თვალსაზრისე სახეობით გასხვავებებად მკვეთრი გადასვლის თვალსაზრისით.

უნდა გავიგოო, რომ სახეობის წარმოქმნა ეს არის ისტორიულ პროცესში რაოდენობრივ ცვლილებათა გადასვლა თვისობრივ ცვლილებებად. ასეთი ნახტომი მზადდება ორგანულო ფორმების საკუთარი ცხოველმოქმედებით, სიცოცხლის გარკვეული პირობების ზემოქმედების ათვისების რაოდენობრივი დაგროვების შედეგად, ეს კი სავსებით მისაწვდომია შეეწავლილ ფაქტორთა მართვისათვის.

სახეობათა წარმოქმნის ასეთი გაგება, რომელიც ბუნებრივ კანონზომიერებებს შეესაბამება, ბიოლოგებს ხელში აძლევს თვით სიცოცხლის პროცესის და, მაშასადამე, სახეობათა წარმოქმნის მართვის მძლავრ საშუალებას.

ვფიქრობ, საკითხის ასე დაყენებით ჩვენ უფლება გვაქვს ჩავთვალოთ, რომ ახალი სახეობითი ფორმის წარმოქმნას, ძველისაგან ახალი სახეობის მიღებას იწვევს არა იმ რაოდენობრივ განსხვავებათა დაგროვება, რომლებიც ერთ-ერთ ფორმის ნახტომისებრ გადაქცევას ახალ სახეობით ფორმად, **სხვა რიგის** ცვლილებებს წარმოადგენენ.

სახეობანი — ანსტატეკია კი არაა, არამედ რეალურად არსებული კვანტეები (ჩოლეტები) საერთო ბიოლოგიურ წყებაში.

ცოცხალი ბუნება ეს ბიოლოგიური წყებაა, თითქოს ცალკეულ რგოლებად — სახეობებად — დაწყვეტილი. ამიტომ სწორი არა არის იმის თქმა, რომ სახეობანი არავითარ პერიოდში არ ინარჩუნებენ თავიანთი თვისობრივი სახეობითი გარკვეულობის მუდმივობას. ამის თქმა ისა ნიშნავს, რომ ცოცხალ ბუნების განვითარებას ადიარებდე როგორც უნახტომო ეეოლუციას.

ამ აზრებს განშიმტკიცებენ მაგარი ხორბლის (დურუმის) რბილ ხორბლად (ვულგარედ) გადაქცევის ექსპერიმენტული მონაცემები.

აღვნიშნავ, რომ ორივე ამ სახეობას სისტემატიკოსები კარგ, უდავო, დამოუკიდებელ სახეობებად სცნობენ.

ჩვენ ვიცით, რომ მაგარ ხორბალთა შორის ნამდვილი საშუმოდგომო ფორმები არ არის, სწორედ ამიტომ ყველა რაიონში, სადაც შედარებით მკაცრი ზამთარი იცის, მაგარი ხორბალი მოჰყავთ მხოლოდ როგორც საგაზაფხეულო და არა როგორც საშუმოდგომო. მიჩურინელები საგაზაფხეულო ხორბლის სამეთოდგომო ხორბლად გადაქცევის კარგ ხერხს დაეუფლნენ. უკვე ნათქვამი იყო, რომ ბევრი საგაზაფხეულო ხორბალი ეესაბუფლებულად გადაქეცეული სამეთოდგომო ხორბლად. მაგრამ ყოველივე ეს რბილი ხორბლის სახეობას ეხება. ხოლო როცა მაგარი ხორბლის სამეთოდგომო ხორბლად გადაქცევას, გარდაქმნას შევეფდეთო, აღმოჩნდა, რომ ორ-სამ-ოთხ წელიწადს შემოდგომაზე დათესვის შემდეგ (რაც აუცილებელია საგაზაფხეულო ხორბლის სამეთოდგომოდ გადაქეცევისათვის), დურუმი ეულგარედ იქეცევა, ე. ი. ერთი სახეობა იქეცეა მეორე სახეობად. დურუმის ფორმა ე. ი. 28-ქრომოსომიანი ხორბალი იქეცევა რბილი 42-ქრომოსომიანი ხორბლის სხვადასხვა ნაირსახეობად, ამასთან დურუმისა და ვეულგარეს სახეობათა შორის გარდამავალ ფორმებს ვერ ეხვდებით. **ერთი სახეობის მეორე სახეობად გადაქცევა ნახტომისებრად ხდება.**

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ახალი სახეობის წარმოქმნის ამზადებს საეციფიკურ ახალ ბარიერებში მთელ რიგ თეობებში სახეშეცვლილი ცხოველთ მოქმედება. ჩვენს შემთხვევაში აუცილებელია შემოდგომა-ზამთრის პირობების ზემოქმედება მაგარი ხორბლის ორი-სამი-ოთხი თაობის განმავლობაში. ამ შემთხვევებში მას შეუძლია ნახტომისებრად გადაიქეცს რბილ ხორბლად, ისე რომ ამ ორ სახეობას შორის არავითარი გარდამავალი ფორმა არ გვექნეს.

ვფიქრობ, უსარგებლო არ იქნება აღვნიშნო, რომ ღრმა თეორიის—სახეობის პრობლემის საკითხის, სახეობის შიგნით და სახეობათა შორის ინდივიდუუმთა ურთიერთობის საკითხის დაყენების სტილეი ჩემთვის იყო და არის არა უბრალო ცნობისმოყვარეობა, არა შიშელი თეორეტიზირების უბრალო სიყვარული. ამ თეორიული საკითხებისათვის ხელი მომაკიდებინა მეშაობამ უაღრესად პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად. სახეობის შიგნით და სახეობათა შორის ინდივიდუუმთა ურთიერთობის სწორი გაგებისათვის საჭირო გახდა ნათელი წარმოდგენა ფორმების სახეობისშიდა და სახეობათაშორისი მრავალფეროვნების თვისობრივ სხვაობებზე.

ამასთან დაკავშირებით ახლებურად წარმოსდგა ისეთი პრაქტიკულად დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობა, როგორც არის სარეველებთან ბრძოლა მიწათმოქმედებაში, კომპონენტთა შერჩევა ნარეგბალახეულის თესვისათვის, ტყეების სწრაფად და ფართოდ გაშენება ველიან რაიონებში და ბევრი სხვა საკითხი.

აი რამ მომიყვანა სახეობის შიგნით და სახეობათაშორის ბრძოლისა და კონკურენციის პრობლემის გადასინჯვამდე, ხოლო ამ საკითხის ღრმად და ყოველმხრივ განხილვისა და დამუშავების შემდეგ—სახეობის შიგნით ბრძოლისა და ინდივიდუუმთა ურთიერთდახმარების უარყოფამდე და სახეობათა შორის ბრძოლისა და კონკურენციის, აგრეთვე სხვადასხვა სახეობათა შორის ურთიერთდახმარების აღიარებამდეე. საბუნებაროდ, ამ საკითხების თეორიული შინაარსი და პრაქტიკული მნიშვნელობა პრესაში ჯერ კიდევ ძალიან მცირედ მაქვს გაშუქებული.

* * *

მე ვამთავრებ მოხსენებას. ამრიგად, ამხანაგებო, რაც შეეხება თეორიულ გაზს ბიოლოგიაში, საბჭოთა ბიოლოგებს მიაჩნიათ, რომ მიჩურინეული გენეტიკ თეორიფრთი მეცნიერული გეზია. ვეისმანისტები და მათი მიმდეგრები, რომლებიც შეეხნენ თვისებათა მემკვიდრეობითობას უარსყოფენ, იმის ღირსი არ არიან, რომ მათზე სიტყვა გავაგრძელოთ. მომავალი მიჩურინის ეკეთენნი. (ტაში).

ვ. ი. ლენინმა და **ი. ბ. სტალინმა** აღმოაჩინეს ი. ვ. მიჩურინი და საბჭოთა ხალხს კეთილნებად გაანდეს მისი მოძღვრება. მისი მუშაობისადმი მთელი თავიანთი მამობრივი ყურადღებით მთ ბიოლოგიისათვის იხსნეს შესანშნავი მიჩურინეული მოძღვრება. პარტია და მთავრობა და პირადად **ი. ბ. სტალინი** მუდამ ზრუნავენ მიჩურინეული მოძღვრების შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენთვის, საბჭოთა ბიოლოგებისათვის, არ არსებობს უფრო სპპატონო ამოცანა, ვიდრე მიჩურინის მოძღვრების შემოქმედებითი განვითარება და ცოცხალი არსების განვითარების ბუნების კანონების მიჩურინეული სტილის მთელ ჩვენს საქმიანობაში დანერგვა.

მიჩურინეული მოძღვრების განვითარებისათვის ჩვენი აკადემია ისე უნდა ზრუნავდეს, როგორც ამას გვასწავლის პირადი მაგალითი ი. ვ. მიჩურინის საქმიანობისდმი მზრუნველი დამოკიდებულებისა ჩვენი დიდი მასწავლებლისა— ვ. ი. ლენინისა და **ი. ბ. სტალინის** მხრივ. (ქუხარე ტაში).

* დასაბეჭდად დამზადებულია ეკ. „კომუნისტის“ № 157, № 158, № 159.

[*]. ბ. ბ. ეუკოფსკი. თხზულებანი, ტომი III, გვ 302-302.

მიჩურინელთა სამეცნიერო ერთობა

საბჭოთა ბიოლოგთა, ხორბლეულის ბუნებრივი ისტორიის ინსტიტუტის ციმბირის

დიდი ხანია ციმბირში ცდილობდნენ საშუმოდგომო ხორბლის მოყვანას. ამ კულტურის თესლი ჯერ კიდევ მაშინ ჩაჰქონდათ თან რუსეთისა და უკრაინის ცენტრალური ოლქებიდან დასახლებულ წყალ ელვეტებს. მაგრამ იშვიათი იყო ისეთი წელიწადი, როცა მისი მოსავლის ალება ხერხდებოდა. ეს კულტურა ვერ ეძლეოდა ციმბირის სუსხიან ზამთარს.

საბჭოთა სელექციონერებმა გამოიყენეს მსოფლიოში ყველაზე უფრო ზამთრისადმი ეველი ჯიშები ამ კულტურისა, მაგრამ ციმბირის სუსხიან ყინვას ვერც ეს ჯიშები ეძლეოდნენ. აკადემიკოსმა ტ. დ. ლისენკომ შეისწავლა, თუ რა მიზეზით იოლუბოდა საშუმოდგომო ხორბალი ციმბირში და შეიმუშავა საშუმოდგომო ხორბლის თესვის ახალი ხერხი — სარეველა ბალახებისაგან გაწმენდილ ნაპურალში თესვა. ნაპურალში საშუმოდგომო ხორბლის თესვის მრავალი წლის ცდები, რაც მარცვლეული მეურნეობის ციმბირის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა მოაბოდინა, წარმატებით დამთავრდა. მაგალითად, ომსკის ოლქში ჰექტარზე 30 და მეტი ცენტნერი მარცვლეული მიიღეს.

ნაპურალში ზამთარს კარგად ეძლევა საბჭოთაეთის ჯიშის ხორბლეულიც. ინსტიტუტის თანამშრომელმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ამბ. კოსტიუჩენკომ შარშან შემოდგომაზე ნაპურალში დათესა საშუმოდგომო ხორბლეულის მსოფლიო კოლექცია. ამ კოლექციაში შედიოდა მსოფლიოს სხვა და სხვა რაიონში — ყარაგანდიდან ნორვეგიაშეა ზონებიდე — შეკრებილი 300 ჯიში. ყველა ამ ჯიშმა კარგად გამოიარა ზამთარი და ზაფხეულში მიღებულ იქნა ნორმალური მოსავალი.

წელს ნაპურალში საშუმოდგომო ხორბლის საცდელ-საწარმო თესვა სწარმოეს ომსკის ოლქისა და ჩრდილოეთ ყაზახეთის ბევრ კოლეეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

ადგილი ხორბალი

მიჩურინელი ბ. პ. ლუკიანენკო, რომელმაც საშუმოდგომო ხორბლის ჯიშია გამოყვანისათვის სტალინური პრემია მიიღო, ფართოდ ანიკ ცნობილი ყუბანში. მის მიერ გამოყვანილი ჯიში „ანალეკრანილი — 83“ წელს დაითესა ეკოსნოდარის მხარის სამხრეთ და მთიანირა რაიონებში და მეტად უხვ მოსავალი მოგვცა. ამ შემოდგომაზე ყუბანელმა კოლმეურნეებმა ერთიათად გადიდეს „ანალეკრანილი — 83“ ხორბლის თესვა.

წელს კრასნოდარის სახელმწიფო საველეკეთო სადგური სახელმწიფო კომისიისა გადასცემს ბ. პ. ლუკიანენკოს მიერ გამოყვანილ საშუმოდგომო ხორბლის ახალ ჯიშს. იგი ჯერ მოსავალს იძლევა და სხვა ჯიშის ხორბლეულზე ხუთი დღით ადრე მწიფდება.

საგაზაფხულო ხორბალი საშემოდგომო ხორბლად გადაკაცვა

საკავშირო სასელექციო-გენეტიკურმა ინსტიტუტმა ოდესაში, მარცვლეულ მეურნეობის ციმბირის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ომსკში აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მეთოდით მოახდინეს მცენარის ბუნების გარდაქმნის მთელი რიგი საინტერესო ცდები. ამჟამად ოდესის ახლოს გამოჰყავთ საშემოდგომო ქერი, რომელიც საგაზაფხეულო ჯიშის „ბალიდიოტ 32“ ქერის საგაზაფხეულო ჯიშისაგან მიიღეს. ზამთრგამძლეობით იგი ყველა ჩვენებულ ჯიშის საშემოდგომო ქერს სჯობს და მათზე გაცილებით ადრე მწიფდება.

მარცვლეული მეურნეობის ციმბირის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი მთელი რიგი წლების განმავლობაში თესავს საგაზაფხეულო ხორბალს ბევრ შემოდგომაზე. სტატიბრის დასაწყის ამ ინსტიტუტის დამდგარ დათესილნი საგაზაფხეულო ხორბალნი კარგად გამოიარა ზამთარი და კარგი მოსავალი ჰქონდა. ცდებმა ცხადაყო, რომ შემოდგომიდან შეიძლება დათესილის ყველა ჯიშის საგაზაფხეულო ხორბალი, რომელიც ციმბირში მოჰყავთ.

მეცნიერები საგაზაფხეულო ხორბლის საშემოდგომო ხორბლად გადაკაცვას ეაზრად ყინვაგამძლე ჯიშს ჭქმნან.

ბალეწილია 177.975 ჰექტარი პურეულის მოსავალი

ბევრმა ბათვალიწინებელი ლაგოდეხის, სიღნაღის და სხვ. სულ 8 რაიონში. ლეწვის რესპუბლიკური ბრიგადა შესრულებულია 51,7 პროცენტით.

წეთიდწყაბოს რაიონში ლეწვის ბრიგადა 99,4 პროცენტით არის შესრულებული, კაჯრეთის რაიონში — 92,2, ქირლოს — 89.8, ყვარლის რაიონში — 82,1, პროცენტით,

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება და დახმარება არ მოვაკლოთ სკოლას!

სასკოლო ერთდღიური

კოლმეურნეთა აქტიური მონაწილეობით წელს ლანჩხუთის რაიონში კაპიტალურად შეკეთდა 13 საშუალო სკოლის შენობა. გარემონტებულია აგრეთვე 854 მერხი, მაგიდები, დაფები, სკამები და სხვ.

ახალი სასწავლო წლისათვის განსაკუთრებით კარგად მოემზადნენ სოფელ მამათის, სუფსის, ჩიბათის საშუალო სკოლებში, აგრეთვე ღრმაღელის, წყალწმინდის, ლესის რვაწლიანი და ტაბანათის დაწყებით სკოლებში.

ხამურელთა მოწოდების პასუხად და მშრომელთა ინიციატივით 1 აგვისტოს მოეწყო სასკოლო ერთდღიური, რომელშიც მონაწილეობდა 1.603 კოლმეურნე. ამ დღეს რაიონის სკოლებისათვის დამზადებულ იქნა 1.665 კუბმეტრი შეშა და 41 კუბმეტრი ხეტყის მასალა.

(„კომუნისტის" კორ.).

ახალი სასწავლო წლის წინ

გორის რაიონში გაცხოველებით მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. კაპიტალური და მიმდინარე რემონტი უკეთდება 141 სკოლას. მიმდინარეობს სასკოლო ინვენტარის შეკეთება. ზამთრისათვის შეშით უკვე მომარაგებულია ბერშუეთისა და მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოებში შემავალი სკოლები.

სკოლების რემონტზე ფართოდ იყენებენ ადგილობრივ ძალებსა და საშუალებებს.

რაიონის სკოლებმა ჩაატარეს სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვა. სასკოლო ბიბლიოთეკებში შევიდა და ინახება 40.000 ნახმარი სახელმძღვანელო.

სწრაფი ტემპით სწარმოებს სასკოლო შენობების შეკეთება ქალაქ გორში. მარტო ქალაქის ცხრა სკოლის შეკეთებაზე 120.000 მანეთი დაიხარჯება. სარემონტო სამუშაოებს „საქმშენის" გორის განყოფილება ასრულებს.

ქალაქ გორის სკოლებში წელს ისწავლის 3.338 მოსწავლე.

(„კომუნისტის" კორ.).

მოწინავენი და ჩამორჩენილნი

სასწავლო წლის დამთავრებისთანავე ბოლნისის რაიონის მეტწილ სკოლებში შეუდგნენ საკლასო ოთახების და ინვენტარის რემონტს.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ბოლნისის საშუალო სკოლის შენობის აღდგენა, რომელიც გასულ წელს დაზიანდა. შენობის აღდგენაზე იხარჯება 140 ათას მანეთამდე, აქედან ბოლნისის სტალინის და კიროვის, წითელი სოფლის ცხაკაიას და რატევნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობათა წევრები 70 ათასი მანეთის სამუშაოს შრომითი მონაწილეობით ასრულებენ.

მშენებლობას ტრანსპორტით უზრუნველჰყოფს სამტრესტის ბოლნისის მევენახეობის მეურნეობა. სკოლის აღდგენა 20 აგვისტომდე დამთავრდება.

კაჩაღანის რვაწლიანი სკოლა სივიწროვეს განიცდიდა. 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შრომითი მონაწილეობით სკოლას მიაშენეს 4 საკლასო ოთახი. თამარისელი კოლმეურნეებიც აფართოებენ 8-წლიანი სკოლის შენობას. 1 სექტემბრისათვის სკოლას სამი ახალი საკლასო ოთახი შეემატება.

მაგრამ რაიონის ყველა სკოლა როდი ემზადება კარგად ახალი სასწავლო წლისათვის. ფახრალოს სასოფლო საბჭოს სკოლები მიმდინარე რემონტს მოითხოვენ. სკოლის დირექტორები შვებულებაში იმყოფებიან, ხოლო სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები რემონტზე არ ზრუნავენ. კაზრეთის საშუალო სკოლის შენობა მნიშვნელოვან რემონტს მოითხოვს: ჩასასმელია მინები, შესათეთრებელია საკლასო ოთახები, შესაკეთებელია მერხების უმრავლესობა, მაგრამ სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ნ. ოსეფაშვილი) და კოლმეურნეობის გამგეობა არავითარ ზომებს არ იღებენ. განათლების განყოფილებაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა დარბაზისა და ძველი ქვეშის სასოფლო საბჭოებში.

მეტად ცუდი მდგომარეობაა სკოლების შეშით მომარაგების მხრივ. მართალია, ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომმა სკოლებს 2.700 კუბმეტრი ტყეკაფი გამოუყო, რაც განათლების განყოფილებამ სასოფლო საბჭოების მიხედვით გაანაწილა, მაგრამ დღემდე არც ერთ სასოფლო საბჭოს ბოლნისის სატყეო მეურნეობიდან ტყის საჭრელი მოწმობა არ მიუღია, შეშის მოჭრასა და სკოლებში მიზიდვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ვ. ხოფერია
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

კალოობა ხუნდისუბანში

იზრდებოდა ყანა. მატულობდა სამოცდაათი წლის მოხუცის ივანე თხელიძის სიხარულიც. ამ მინდვრებზე მისმა მარჯვენამ მოაბნია ხორბლის თესლი. ხვნა-თესვის დროს ოფლიც ბევრჯერ მოიწურა ბერიკაცმა და ახლა გულით როგორ არ უხაროდეს ჩამწიფებული ყანების ცქერა.

მკაში პირველობას ჩემულობს ივანე თხელიძე. მისთვის მკის დღიური ნორმის ორმაგად შესრულება ჩვეულებრივი ამბავი გამხდარა.

აგერ მეორე მოხუცი ლექსო გაგნიძე. იგი ხნოვანებით ივანეზე ნაკლები არაა. არც მკაში ჩამორჩება თანასოფლელს.

...და ოცი კოლმეურნე განთიადიდან ბინდამდე ბასრი ცელებით მისდგომია წელამდე აყრილ ჩამწიფებულ ყანას. სამოცდაათ ჰექტარზე უნდა აიღოს შემოდგომის პურეული ზნაურის რაიონის სოფელ ხუნდისუბნის კოლმეურნეობამ. მემინდვრეობის პირველი ბრიგადა პირველობისათვის იბრძვის. ამ ბრიგადის ხელმძღვანელი ალექსანდრე თხელიძე სამშობლოსათვის მკაცრი განსაცდელის წლებში ფრონტზე იყო. ახლა, როცა მკერდგაღეღილი შრომობს, მის სხეულზე კაცი შეამჩნევს ნაჭრილობევებს, რომლებიც უფრო მეტ შნოს მატებენ ვაჟკაცს.

დილით კარიკარ სიარული როდი უხდება ბრიგადირს. ყველამ იცის თავისი მოვალეობა. რომელიმე კოლმეურნემ თუნდაც რომ დააგვიანოს სამუშაოზე გამოსვლა, მას ბრიგადირზე უმალ სხვები მოიკითხავენ. ბრიგადირს ყველასათვის ისეთი სამუშაო მიუჩენია, რომ რაც შეიძლება მეტი ნაყოფი მოჰყვეს საქმეს.

ალექსი თხელიძის ბრიგადას მემინდვრეობის მეოთხე ბრიგადა ეჯიბრება. ამ ბრიგადის ხელმძღვანელი ლევან გაგნიძე არანაკლებ სრულყოფილად არის დაუფლებული თავის საქმეს, დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს თავისი ბრიგადის წევრებს შორის.

ყვავილებისაგან არაჩვეულებრივად ლამაზი ქუდები მოუქსოვიათ გოგონებს. ისინი დროებით დაემშვიდობნენ თავიანთ სკოლას და ახლა მშობლებს ეხმარებიან მოსავლის აღებაში, თავთავებს ჰკრეფენ გამალებით. მათი პატარა ხელებიც ბარაქას მატებენ კოლმეურნეობას. აი ისინი: მერი თხელიძე, ევგენია ტარუაშვილი, თამარ გათიკოევა და სხვა. მკაზე მომუშავეთა შორის სახელი გაითქვა მეათე კლასის მოსწავლე კომკავშირელმა ვანო გათიკოევმა. დღიურ ნორმებს იგი ორმაგად და მეტად ასრულებს.

განუწყვეტლივ გაისმის კალოსპირული ხუნდისუბანში. მაღლობზე, სადაც ყოველთვის ნიავი უბერავს, ხუნდისუბნელებს თორმეტი კალო გაუმართავთ. აქ მეტწილად ქალები მუშაობენ. კოლმეურნე ანა თხელიძეს ყველა ქებით იხსენიებს. მას მხარში უდგას ანა გაგნიძეც. დამკვრელებული შრომობს ვანო გაგნიძე. ომგადახდილ ვაჟკაცს უსაზღვროდ ახარებს ოქროსფერი ხორბლის ხვავის დანახვა. აქვეა მისი მეუღლე დარო. ცოლიც და ქმარიც მთელ დღეებს თავდადებულ შრომაში ატარებენ.

ყოველდღიურად თორმეტი კალოდან აღებული ხორბალი მიდის ხუნდისუბნელთა ბეღლებში.

— ექვსნახევარი ტონა რჩეული მარცვლეული უნდა ჩავაბაროთ სამშობლოს! — ასეთი იყო ხუნდისუბნელთა ფიქრი და გულისწადილი.

კალოებზე პირველი განალეწი ხორბლის ხვავები იდგა. იგი საგულდაგულოდ გაეცხრილათ კოლმეურნე ქალებს. კალოებზე ურმები შემოაყენეს ზაქარია ტაროაშვილმა და სარიდან გათიკოევმა. ისინი გულდინჯად და სახეზე ბედნიერი ღიმილით უდებდნენ ურმებზე ხორბლით სავსე პირგადაკერილ ტომრებს.

ურმები დაიძრნენ სახელმწიფო ბეღლისაკენ. ზაქარია ტაროაშვილმა ღიმილით გადახედა სოფელს და ღიღინი წამოიწყო. უხაროდა გლეხკაცს, რომ სამშობლოს წინაშე უპირველესი ვალის მოხდის განხორციელება მას ხვდა წილად.

კალოებისაკენ კი მოდიოდა ძნებით დატვირთული ურმების ახალი ქარავანი.

ვლ. გელაშვილი
(„კომუნისტის" კორ.).

რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის 1948 წლის 26 მაისის ნომერში დაბეჭდილი იყო რედაქციის მუშაკის ამხ. ა. კოკილაშვილის კორესპონდენცია სათაურით „არჩილ ბუაჩიძის საქმე". კორესპონდენცია ძირითადად აგებული იყო „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტის ამხ. ნ. იარალოვის მიერ შეკრებილ და რედაქციისათვის გამოგზავნილ მასალაზე.

შემოწმებით გამოირკვა, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები არ შეეფერება სინამდვილეს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შეუმოწმებელი მასალების რედაქციაში გამოგზავნისათვის ამხ. ნ. იარალოვი მოიხსნა საკუთარი კორესპონდენტის თანამდებობიდან და დაედო პარტიული სასჯელი. პარტიული სასჯელი დაედო აგრეთვე ამხ. ა. კოკილაშვილს, რომელმაც კორესპონდენციაში არასწორად გააშუქა საქმის ნამდვილი ვითარება.

დუნაის კონფერენციაზე

გენერალურმა კომიტეტმა მოიწონა კონვენციის საბჭოთა პროექტის შესავალი ნაწილი

ბელგრადი, 10 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს დილის სხდომაზე დუნაის კონფერენციის გენერალური კომიტეტი ვ. კლემენტისის (ჩეხოსლოვაკია) თავმჯდომარეობით შეუდგა დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის კონვენციის საბჭოთა პროექტის მუხლობრივ განხილვას.

გენერალურმა კომიტეტმა დღეს განიხილა კონვენციის საბჭოთა პროექტის პრეამბულა (შესავალი ნაწილი). პრეამბულა შეიცავს კონვენციის მონაწილე ქვეყნების ჩამოთვლას, მითითებას საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებაზე ახალი კონვენციის შესამუშავებლად კონფერენციის მოწვევისა და მისი შემადგენლობის შესახებ, ამასთან ხაზგასმით აღნიშნულია, რომ კონფერენციის მონაწილეებს სურთ „უზრუნველჰყონ დუნაიზე თავისუფალი ნაოსნობა დუნაისპირა ქვეყნების ინტერესებისა და სუვერენული უფლებების შესაბამისად, აგრეთვე დუნაისპირა ქვეყნების ერთმანეთში და სხვა ქვეყნებთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების მიზნით".

საფრანგეთის დელეგაციამ წარადგინა პრეამბულის თავისი ვარიანტი, რომელიც იმეორებს ამერიკის დელეგაციის მიერ 6 აგვისტოს შეტანილი კონვენციის პროექტის შინაარსს (როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია დაჟინებით არ მოითხოვდა, რომ ეს პროექტი საფუძვლად დასდებოდა კონფერენციის მუშაობას, და დათანხმდა წარედგინა მისი ძირითადი დებულებანი საბჭოთა პროექტისადმი შესწორებათა სახით). პრეამბულის ფრანგულ ვარიანტში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი დუნაისპირა ქვეყნების ინტერესებსა და სუვერენულ უფლებებზე. სამაგიეროდ იგი შეიცავს მითითებას „არათანასწორუფლებიან შეთანხმებებზე, რომლებიც არადუნაის სახელმწიფოებს დუნაიზე პარპაშის შესაძლებლობას აძლევდნენ.

საფრანგეთის დელეგატი პანაფიე, რომელიც თავის წინადადებათა დასაცავად გამოვიდა, დაჟინებით მოითხოვდა, რომ კონვენციაში ლაპარაკი ყოფილიყო არა მარტო ნაოსნობის თავისუფლების შესახებ, არამედ აგრეთვე ვაჭრობის თავისუფლების შესახებ. გზადაგზა მან წამოაყენა საკითხი საფრანგეთის იმ გემების შესახებ, რომლებიც თითქოს რუმინეთის ტერიტორიულ წყლებში იმყოფებიან. ამ საკითხს კონფერენციის მუშაობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

ბულგარეთის დელეგატი ე. კამენოვი გამოვიდა საფრანგეთის შესწორების წინააღმდეგ და განაცხადა, არა გვგონია სასარგებლო იყოს ვიცქირებოდეთ უკან, იმ შეთანხმებებისაკენ, რომლებიც დუნაისპირა სახელმწიფოთა სუვერენიტეტზე იმპერიალისტურ ხელყოფას აკანონებდნენო.

უკრაინის დელეგატმა ბარანოვსკიმ ისევე, როგორც ბულგარეთის დელეგატმა, გაილაშქრა დუნაისპირა ქვეყნების სუვერენულ უფლებათა ხელყოფის წინააღმდეგ და წინადადება წამოაყენა მიღებულ იქნას კონვენციის საბჭოთა პრეამბულა.

იუგოსლავიის დელეგატი ა. ბებლერი შეუერთდა ბულგარეთისა და უკრაინის დელეგატების არგუმენტებს.

როგორც რუმინეთის დელეგაციის მეთაურმა ა. პაუკერმა განაცხადა, საფრანგეთის დელეგაცია თავისი შესწორების შეტანისას მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ დუნაიზე მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭოს დასავლეთ სახელმწიფოთა სავაჭრო კომპანიებს დუნაისპირა ქვეყნების სუვერენულ უფლებათა საზიანოდ. შეეხო რა საფრანგეთის დელეგატის მიერ წამოყენებულ საკითხს, რომ რუმინეთის წყლებში მყოფ საფრანგეთის გემებს მთელ დუნაიზე მიმოსვლისა და ვაჭრობის შესაძლებლობა მიეცეთ, პაუკერმა მოაგონა სხდომას, რომ დუნაის ზემოწელში რუმინეთის გაცილებით უფრო მეტი გემია, ვიდრე საფრანგეთის გემები დუნაის ქვემოწელში. პაუკერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საკითხს კონვენციასთან დამოკიდებულება არა აქვს და იგი საფრანგეთსა და რუმინეთს შორის უნდა მოგვარდეს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ მხარი დაუჭირა ბულგარეთის, უკრაინის, იუგოსლავიისა და რუმინეთის წარმომადგენელთა მოსაზრებებს და განაცხადა:

— როგორც საფრანგეთის დელეგატის გამოსვლიდან შეიძლებოდა გვეგეგო, მას არ აკმაყოფილებს ფორმულა, რომელიც ეხება ყველა სახელმწიფოს მოქალაქეთა, სავაჭრო გემთა და საქონელთა თავისუფლებასა და თანასწორობას სანავსადგურო და სანავიგაციო გამოსაღებისა და სავაჭრო ნაოსნობის პირობების მიმართ. მას მიაჩნია, რომ ეს ფორმულა ვიწრო და ძნელი გასაგებია.

ვიშინსკიმ მოაგონა სხდომას, რომ ფორმულა, რომელსაც საფრანგეთის დელეგატი ახლა აკრიტიკებს როგორც „ვიწროს", 1946 წლის 5 დეკემბერს მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ საფრანგეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მან გამოაქვეყნა ამის დამადასტურებელი ამონაწერები საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ნიუ-იორკის 1946 წლის მესამე სესიის ოქმებიდან. ვიშინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის დელეგაციის მიერ ამჟამად წარმოდგენილი ფორმულა არა მარტო წინათ შეთანხმებული გადაწყვეტილების რევიზიას ახდენს. იგი წარმოადგენს იმის ცდას, რომ ახალი პრინციპული საფუძვლები მისცეს კონვენციას, წინააღმდეგ წინათ მიღებული შეთანხმებული გადაწყვეტილებისა.

— ოთხი დიდი სახელმწიფოს მიერ შეთანხმებული ძირითადი პრინციპებიდან გადახვევა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვისურვებდით თანამშრომლობის საფუძვლების შერყევას. მე მინდა უკუვაგდო ასეთი აზრი და გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენ მივისწრაფვით თანამშრომლობის განმტკიცებისა და არა შერყევისაკენ. არ შეიძლება გადავუხვიოთ პრინციპულ შეთანხმებულ ფორმულირებას, რომელიც საფუძვლად უდევს დუნაის პრობლემის გადაწყვეტისათვის მომზადებას, — სთქვა დასასრულ ვიშინსკიმ.

საფრანგეთის შესწორება უარყოფილ იქნა ყველა დუნაისპირა სახელმწიფოს ხმებით საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ხმების წინააღმდეგ.

შემდეგ გენერალურმა კომიტეტმა განიხილა კონვენციის პრეამბულის ამერიკის შესწორებანი. ეს შესწორებებიც მიმართული იყო დუნაისპირა სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების შეზღუდვისაკენ. საბჭოთა პროექტში აღნიშნული იყო, რომ დუნაიზე თავისუფალი ნაოსნობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას ამ სახელმწიფოთა ინტერესებისა და სუვერენული უფლებების შესაბამისად. ამერიკის დელეგაცია წინადადებას იძლეოდა, რომ დუნაისპირა ქვეყნების სუვერენული უფლებები მიეღოთ მხოლოდ „ჯეროვანი ყურადღებით". ამავე დროს ამერიკის დელეგაცია მოითხოვდა, რომ დუნაიზე ნაოსნობის თავისუფლება უზრუნველყოფილ იქნას „ყველა ერის ინტერესების" შესაბამისად. დასასრულ, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია მოითხოვდა იმის აღნიშვნას, რომ „ეკონომიური კეთილდღეობისა და ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის პირობები დუნაიზე უნდა ვითარდებოდეს გაერთიანებული ერების წესდების თანახმად".

ამერიკის დელეგატი კ. კენონი, რომელიც თავის შესწორებათა დასაცავად გამოვიდა, ცდილობდა იმგვარად წარმოედგინა საქმე, თითქოს დუნაი ამჟამად „გამოუყენებელი რჩება" და თითქოს შეერთებული შტატები, მხოლოდ იმის მიღწევას ცდილობენ, „რომ ამ მდინარეზე გაცხოველებული ვაჭრობა განახლდეს".

იუგოსლავიის დელეგატმა ა. ბებლერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის წინადადება სრულებით ჩქმალავს განსხვავებას დუნაისპირა ქვეყნებისა და დუნაიდან შორს მყოფ სახელმწიფოთა უფლებებს შორის.

რუმინეთის წარმომადგენელმა ა. პაუკერმა მოაგონა სხდომას, რომ რუმინეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი არ არის. რუმინეთი, ისევე როგორც უნგრეთი და ბულგარეთი, მიღებული არ არის ამ ორგანიზაციაში დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ღონისძიებათა გამო. პაუკერმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა დუნაის აუზის დემოკრატიული სახელმწიფოები მეტი პატივისცემით ეპყრობიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს, ვიდრე ზოგიერთი სახელმწიფო, რომელთა წარმომადგენლებიც მოითხოვენ, რომ პრეამბულაში მითითება გაკეთდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე. პაუკერმა წინადადება წამოაყენა უარყოფილ იქნას ამერიკის შესწორებანი.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ მოაგონა სხდომას, რომ ამერიკის დელეგაციის თავდაპირველ პროექტში საერთოდ არაფერი იყო ნათქვამი დუნაისპირა სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებებზე. ახლა კი ამერიკის დელეგაცია წინადადებას გვაძლევს „მხედველობაში მივიღოთ" მათი უფლებანი. „ამრიგად, — სთქვა ვიშინსკიმ, — გადადგმულია ნაბიჯი წინ დუნაისპირა სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების მიმართ ამერიკის დელეგაციის პოზიციის განსაზღვრაში, მაგრამ ეს მეტად გაუბედავი ნაბიჯია, შეიძლება ითქვას, პატარა, ნახევარი ნაბიჯია. იქნებ ამერიკის დელეგაციამ უფრო მტკიცე ნაბიჯი გადადგას და მივიდეს იქამდე, რაც უკვე ნათქვამია საბჭოთა პროექტში? ამერიკის დელეგაცია წინადადებას გვაძლევს ჯეროვანი ყურადღებით მოვეპყროთ „დუნაისპირა სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებებს" — ეს არ ნიშნავს პატივისცემით მოპყრობას; ეს მხოლოდ რიტორიკული ფორმულაა, რომელიც არავის არაფერს არ ავალებს. დუნაის მართვის მომავალი ორგანოები აგებულ უნდა იქნან დუნაისპირა სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების შესაბამისად, მათი სრული აღიარების საფუძველზე".

შეეხო რა ამერიკის წინადადებას — აღინიშნოს, რომ „ეკონომიური კეთილდღეობისა და ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის პირობები დუნაიზე უნდა ვითარდებოდეს გაერთიანებული ერების წესდების თანახმად", ვიშინსკიმ სთქვა: „მე მგონია, არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები, არამედ ის დემოკრატიული სახელმწიფოებიც, რომლებიც ჯერ კიდევ მიღებული არ არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, იმის წინააღმდეგი არ იქნებიან, რომ მოგვაგონონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისადმი პატივისცემის აუცილებლობა. მაგრამ რატომ გვაძლევენ წინადადებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას დავუკავშიროთ ეკონომიური კეთილდღეობის პირობები და დუნაიზე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება?".

ვიშინსკიმ მოაგონა სხდომას, რომ ხუთ დასავლეთ სახელმწიფოს — დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჰოლანდიას, ბელგიასა და ლუქსემბურგს შორის 1948 წლის 17 მარტს დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს არავითარ მითითებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაზე იმ ნაწილში, რომელიც ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას ეხება. აღნიშნულ ხელშეკრულებაში მხოლოდ ზოგადი დეკლარაციული მითითებაა „ადამიანის უფლებებისადმი რწმენაზე" და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სხვა პრინციპებზე". ამ ხელშეკრულების ავტორები მხოლოდ „ადასტურებენ" თავიანთ „რწმენას" ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი.

ამერიკის შესწორების მიღება შესაძლო იქნებოდა, სთქვა დასასრულ ვიშინსკიმ, ანალოგიური მითითებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაზე რომ იყოს სხვა ხელშეკრულებებშიც, კერძოდ ხუთი დასავლეთი სახელმწიფოს ხელშეკრულებაში, სადაც ლაპარაკია მხოლოდ ეკონომიურ საერთაშორისო ურთიერთობაზე. ხოლო რამდენადაც აღნიშნულ ხელშეკრულებებში მსგავს მითითებებს ვერ ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც საჭირო არ არის ასეთი შესწორება. მით უმეტეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისადმი ერთგულებას საქმით უნდა დამტკიცება და არა სიტყვით.

ამერიკის შესწორებები უარყოფილ იქნა ყველა დუნაისპირა ქვეყნების ხმების უმრავლესობით ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხმების წინააღმდეგ. ამის შემდეგ კენჭი უყარეს და მიიღეს საბჭოთა პრეამბულა მთლიანად. მას ხმა მისცეს ყველა დუნაისპირა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის დელეგატებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა.

კონვენციის საბჭოთა პროექტის განხილვა გენერალურ კომიტეტში

ბელგრადი, 11 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). გუშინდელ და დღევანდელ დილის სხდომებზე გენერალური კომიტეტი განაგრძობდა დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის შესახებ კონვენციის საბჭოთა პროექტისა და მის შესწორებათა განხილვას.

საბჭოთა პროექტის 1 მუხლი მთლიანად შეიცავს შემდეგ დებულებას, რაც შეთანხმებულია ოთხი დიდი სახელმწიფოს მიერ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში და შეტანილია რუმინეთთან, უნგრეთსა და ბულგარეთთან დადებულ საზავო ხელშეკრულებებში: „მდინარე დუნაიზე ნაოსნობა უნდა იყოს თავისუფალი და ღია ყველა მოქალაქისთვის, ყველა სახელმწიფოს სავაჭრო გემებისა და საქონლისათვის სანავსადგურო და სანაოსნო გადასახდელებისა და სავაჭრო ნაოსნობის პირობების მხრივ თანასწორობის საფუძველზე. ზემოაღნიშნული არ ვრცელდება ერთი და იმავე სახელმწიფოს ნავსადგურებს შორის გადაზიდვაზე".

თუმცა ეს მუხლი ზუსტად განსაზღვრავს დუნაიზე ნაოსნობის თავისუფლებას ყველა როგორც დუნაისპირა, ისე არადუნაისპირა სახელმწიფოსათვის, ამერიკის დელეგაციამ მოითხოვა ამ მუხლს დამატებოდა შემდეგი ტექსტი: „თანასწორობა სანავსადგურო და სანაოსნო გადასახდელებისა და სავაჭრო ნაოსნობის პირობების მხრივ განიხილება იმგვარად, რომ გამორიცხულ იქნას დისკრიმინაცია, დაფუძნებული ალამზე ან გემთა საკუთრების უფლებაზე ანდა რაიმე სხვა ბაზისზე".

თავისი წინადადების დასაბუთებისას, ამერიკის დელეგატმა კ. კენონმა, რომელიც გუშინ საღამოს სხდომაზე გამოვიდა, განაცხადა, რომ ამერიკის დელეგაციის შესწორება შეაქვს იმ მიზნით, რომ ...„ხელი შეუშალოს ყოველი სახელმწიფოს იმპერიალისტურ შეღწევას დუნაიზე". ამ განცხადებას არ შეეძლო არ გამოეწვია დელეგატებისა და საზოგადოების ღიმილი.

ამერიკის დელეგატმა, რომელიც ცდილობდა როგორმე განემტკიცებინა თავისი პოზიცია, შესაძლებლად მიიჩნია გაემეორებინა უკვე გაკეთებული და სხვა ქვეყნების დელეგატების მიერ გაბათილებული განცხადება, თითქოს შერეული სანაოსნო საზოგადოებანი, რომლებშიც თანასწორი უფლებებით თანამშრომლობენ სსრ კავშირი და სხვა დუნაისპირა ქვეყნები, წარმოადგენს... საფრთხეს დუნაისპირა სახელმწიფოების სუვერენიტეტისათვის.

დასასრულ კენონმა განაცხადა, რომ ამერიკის დელეგაციისათვის ნათელი არ არის საბჭოთა პროექტში ნახმარი ტერმინი „სავაჭრო ნაოსნობის პირობები" და საბჭოთა დელეგაციას განმარტება სთხოვა ამის თაობაზე.

უნგრეთის დელეგატმა ე. მოლნარმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციის მიერ შემოტანილი ტექსტი I მუხლისა სავსებით შეესაბამება უნგრეთთან, ბულგარეთისა და რუმინეთთან დადებულ საზავო ხელშეკრულებათა შეთანხმებულ ტექსტებს, სთქვა, რომ ნაოსნობის თავისუფლების ამერიკული განმარტება არ შეეფერება ამ ტექსტებს. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ შემოტანილ შესწორებას, იგი საჭირო არ არის, რამდენადაც საბჭოთა პროექტის 1 მუხლი ზუსტად განსაზღვრავს ნაოსნობის თავისუფლების ცნებას.

ე. მოლნარმა მოიყვანა დასაბუთებული ფაქტიური ცნობები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ შერეული სანაოსნო საზოგადოებანი სრულიადაც არ სარგებლობენ რაიმე პრივილეგიებით, რის დამტკიცებასაც კენონი ცდილობდა. მოლნარმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სანაოსნო საზოგადოება სავსებით ემორჩილება უნგრეთის კანონების მოქმედებას და სრულიადაც არ წარმოადგენს მონოპოლურ საზოგადოებას. უნგრეთის დელეგატმა შეიტანა წინადადება — უარყოფილ იქნას ამერიკის შესწორება და საბჭოთა პროექტის I მუხლი მიღებულ იქნას უცვლელად.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ თავის სიტყვაში ცხადჰყო, რომ საბჭოთა პროექტის I მუხლი, რომელიც ემყარება ოთხი დიდი სახელმწიფოს შეთანხმებულ გადაწყვეტილებას, საკმაო გარანტიას შეიცავს ყოველი სახელმწიფოს იმპერიალისტური ტენდენციების წინააღმდეგ.

— თანასწორობა თანასწორობაა, — სთქვა ვიშინსკიმ. — თუ ჩვენ ვამბობთ — თანასწორობაო, ეს იმას ნიშნავს, რომ დისკრიმინაცია არ უნდა იქნეს. ამერიკის დელეგაციის მიერ შემოტანილი დამატება არაფერს არ განმარტავს და მას ერთი ნაბიჯითაც არ მივყავართ წინ.

საბჭოთა დელეგატმა გაიხსენა, რომ კონვენციის პროექტში არის მთელი რიგი მუხლები, სადაც განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ დისკრიმინაცია არ უნდა იქნეს არც სანავსადგურო გამოსაღებთა გადახდევინების, არც დასატვირთავ-გადმოსატვირთავი სამუშაოს, არც სანიტარული და პოლიციური წესებისა და სხვ. გამოყენების მხრივ. კენონის მიერ დასმული საკითხის გამო — როგორ უნდა გავიგოთ ფრაზა „სავაჭრო ნაოსნობის პირობები" — ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ ეს საკითხი უკვე დასმული იყო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ნიუ-იორკის სესიაზე 1946 წელს და რომ მაშინვე მიცემულ იქნა საჭირო განმარტება. ამ განმარტების შესახებ განცხადება გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში ბრიტანეთის წარმომადგენლის მოადგილემ ბ-ნმა ჯებმა, ვინც მაშინ მოხსენება გააკეთა მინისტრების მოადგილეთა კომისიის მუშაობაზე, რომელიც დუნაის საკითხზე ზოგიერთ ტექსტს ამზადებდა.

ვიშინსკიმ გამოაქვეყნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს 1946 წლის 29 ნოემბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშის ამონაწერი. როგორც ამ ამონაწერიდან ცხადი ხდება, ჯებმა განაცხადა, რომ მოადგილეთა კომისიაში სამოქალაქო ნაოსნობის პირობების შესახებ საფრანგეთის წარმომადგენლის კითხვის პასუხად საბჭოთა წარმომადგენელმა მისცა განმარტება, რომ „ეს შეიცავს იურიდიულ, ფისკალურ და ადმინისტრაციულ განკარგულებებს".

— მაშასადამე, — დაასკვნა საბჭოთა დელეგატმა, — სავაჭრო ნაოსნობის პირობების თანასწორობა არის თანასწორობა იურიდიულ, ფისკალურ და ადმინისტრაციულ განკარგულებათა მხრივ. ეს იმას ნიშნავს, რომ დუნაიზე მონაოსნე ყველა გემს იმის იმედი უნდა ჰქონდეს, რომ არ დაექვემდებარება რაიმე განსაკუთრებულ შეზღუდვებს, როგორსაც არ ექვემდებარებიან სხვა გემები ბუნკერობისას (სათბობის მარაგის შევსებისას), გემების მარაგის შევსებისას (სურსათი, წყალი, საშკიპერო ქონება), სანიტარული დახმარების გაწევისას, რადიოსადგურებით სარგებლობისას გემებზე და ნავსადგურებში, დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მუშაობის და სხვ. ფასის ოდენობის დადგენისას. ამრიგად, ამერიკის შესწორება ზედმეტია, რადგან დისკრიმინაციის დაუშვებლობა უკვე გათვალისწინებულია I მუხლში.

ვიშინსკი შეეხო ამერიკის დელეგატის განმეორებით განცხადებას, თითქოს შერეულმა სანაოსნო საზოგადოებებმა სსრ კავშირის მონაწილეობით ხელთ იგდეს დუნაისადმი კონტროლი, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საზოგადოებანი სრულიადაც არ წარმოადგენენ მონოპოლისტურ საზოგადოებებს დუნაიზე, რომ ისინი არ სარგებლობენ პრივილეგიებით და რომ არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე დისკრიმინაცია სხვა ერების გემების მიმართ.

საბჭოთა დელეგატმა გაიხსენა, რომ რუმინეთთან, უნგრეთსა და ბულგარეთთან დადებულ საზავო ხელშეკრულებებში არის მუხლები, რომლებიც ამ ქვეყნებს ავალებენ ხელშეკრულებათა ძალაში შესვლის დღიდან 18 თვის განმავლობაში უმეტესი მფარველობის რეჟიმი მიანიჭონ გაერთიანებულ ერთა შორის თვითეულს, რომელიც ნაცვალგების საფუძველზე ანალოგიურ რეჟიმს მიანიჭებს მათ. ხელშეკრულებათა ძალაში შესვლის დღიდან უკვე 11 თვე გავიდა. მაშასადამე, ამ პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა აღნიშნულ ქვეყნებთან დაიდოს სავაჭრო ხელშეკრულებანი. ეს არის და ეს. უმეტესი მფარველობა ვაჭრობაში მუდამ ენიჭება იმ ქვეყნებს, რომლებთანაც ვაჭრობა ხელსაყრელია.

დასასრულ ვიშინსკიმ აზრი გამოსთქვა ამერიკის შესწორების მიღების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ იგი დაუსაბუთებელია. ეს შესწორება, — როგორც ვიშინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, — გამოხატავს ტენდენციას — როგორმე შესცვალონ ოთხი დიდი სახელმწიფოს მიერ წინათ შეთანხმებული გადაწყვეტილება, რაც განსაზღვრავს დუნაიზე ნაოსნობის პირობების იმ მინიმუმს, რაც მისაღებია როგორც დუნაისპირა ქვეყნებისათვის, ისე ყველა სხვა სახელმწიფოსათვის, რომელთაც შეუძლიათ და სურთ პატივი სცენ დუნაისპირა ქვეყნების სუვერენობას.

დღევანდელ დილის სხდომაზე, რომელიც ა. ბებლერის (იუგოსლავია) თავმჯდომარეობით შესდგა, ამერიკის შესწორება უარყოფილ იქნა ყველა დუნაისპირა ქვეყნის უმრავლესობის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ საფრანგეთის დელეგატმა ა. ტიერიომ უეცრად გააკეთა დაუსაბუთებელი და ლიტონი განცხადება, თითქოს საბჭოთა პროექტის I მუხლის ტექსტი „არ შეესაბამება" საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებას, რაც მიღებულია ნიუ-იორკის სესიაზე 1946 წლის 5 დეკემბერს, და იძლევა ნაოსნობის თავისუფლების შეზღუდულ განმარტებას მინისტრების საბჭოს აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან შედარებით.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ დოკუმენტებით გააბათილა ეს ლიტონი განცხადება და სიტყვა-სიტყვით გამოაქვეყნა მინისტრების საბჭოს მიერ 1946 წლის 5 დეკემბერს ნიუ-იორკში მე-16 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება და საბჭოთა პროექტის I მუხლი. მან ცხადჰყო, რომ ეს დოკუმენტები სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს.

ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ საფრანგეთის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა პროექტის I მუხლის წინააღმდეგ ილაშქრებს, აპირებს გადასინჯოს, რევიზია გაუკეთოს მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებას, რაც მიღებულია საფრანგეთის მთავრობის მონაწილეობით და თანხმობით. რათა შეთანხმებულ გადაწყვეტილებაზე უარის თქმა რაიმე საბაბით დაფაროს, საფრანგეთის დელეგაცია არასწორად აღნიშნავს ფაქტებს.

საბჭოთა პროექტის I მუხლი კენჭის საყრელად დაისვა და მიღებულ იქნა. მას ხმა მისცეს ყველა დუნაისპირა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგატებმა თავი შეიკავეს კენჭისყრისაგან, ხოლო საფრანგეთის დელეგატმა წინააღმდეგ მისცა ხმა და ამით დაადასტურა, რომ საფრანგეთს არა სურს დაიცვას საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ მისი მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილება.

შემდეგ გენერალური კომიტეტი გადავიდა საბჭოთა პროექტის მე-2 მუხლის განხილვაზე. მინისტრების საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა, რათა კონვენციის მიერ დაწესებული რეჟიმი ვრცელდებოდეს მდინარე დუნაის სანაოსნო ნაწილზე, ულმიდან შავ ზღვამდე, სულინის გირლოზე გავლით და სულინის არხით ზღვაში შესასვლელად. დიდი ბრიტანეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა გამოერიცხათ ეს მუხლი და შეეცვალათ სხვა მუხლით, რომელშიც არა მარტო დუნაი, არამედ მთელი მისი შესართავი, შენაკადები — მორავა, ტაია, დრავა, ტისა და მაროში, აგრეთვე შემაერთებელი არხები განხილულ იქნას როგორც „ინტერნაციონალიზებული სამდინარო ქსელი". ინგლისის წარმომადგენელი კენლისიდი ამ წინადადების დასაცავად გამოვიდა და ამტკიცებდა, რომ საკითხის სხვანაირი გადაწყვეტილება იქნებოდა... „რეაქციული ნაბიჯი". იგი შეეცადა თავისი პოზიცია განემტკიცებინა საერთაშორისო სამდინარო გზების შესახებ ბარსელონის 1921 წლის კონვენციის დამოწმებით.

იუგოსლავიის დელეგატმა ა. ბებლერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც ცხადჰყო ინგლისის წინადადების უსაფუძვლობა. ბებლერმა აზრი გამოსთქვა ბრიტანეთის წინადადების წინააღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა ვ. კლემენტისმა კომიტეტის წევრთა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ინგლისის დელეგაცია აყენებს საკითხს რაღაც „ინტერნაციონალიზებული სამდინარო ქსელის შექმნის" შესახებ. მან განაცხადა, რომ საკითხის ასეთი დასმა ნიშნავს ახალ ცდას — დუნაიზე აღდგენილ იქნას ძველი წესრიგი. ამჟამად ლაპარაკიც კი არ შეიძლება დუნაისა და მისი შენაკადების ინტერნაციონალიზაციაზე. დუნაი არის და იქნება დუნაისპირა სახელმწიფოთა მდინარე.

შემდეგ გამოსულმა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ მუხლობრივ გაარჩია ინგლისის წინადადება და ცხადჰყო უსაფუძვლობა ბრიტანეთის დელეგაციის პრეტენზიისა დუნაის ყველა შესართავის შენაკადის და შემაერთებელი არხების ინტერნაციონალიზაციაზე. ვიშინსკიმ უდავო სტატისტიკურ ცნობებზე დაყრდნობით დაამტკიცა, რომ დუნაის შენაკადებზე ნაოსნობით დასავლეთი სახელმწიფოების ეკონომიური დაინტერესება მეტად მცირეა და რომ ინგლისის წინადადებას, მაშასადამე, საფუძვლად უდევს ისეთი მოტივები, რომელთაც ეკონომიურ მოტივებთან საერთო არა აქვთ რა. შემდეგ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ანალიზი გაუკეთა საკითხის იურიდიულ მხარეს და ცხადჰყო, რომ ბარსელონის კონვენცია, რომელზე დაყრდნობასაც ინგლისის წარმომადგენელი ცდილობდა, ზურგს კი არ უმაგრებს ბრიტანეთის დელეგაციის პრეტენზიებს, არამედ, პირიქით, მათ უსაფუძვლობას ამტკიცებს. დასასრულ ვიშინსკიმ მოუწოდა დელეგატებს, — მიიღონ საბჭოთა პროექტის მე-2 მუხლი, რომელიც ემყარება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს და პარიზის 1946 წლის საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებას,

მუშა ახალგაზრდობის ვარშავის საერთაშორისო კონფერენციაზე

ვარშავა, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს მუშა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა სსრ კავშირის ახალგაზრდობის დელეგაციის თავმჯდომარის ა. კლიმოვის მოხსენება. ტრიბუნაზე საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლის გამოსვლას კონფერენციის დელეგატები საბჭოთა კავშირისა და გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის პატივსაცემად გამართული მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. კონფერენციის დელეგატები მთელი მსოფლიოს ხალხთა ენებზე მიესალმნენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელს, რომელიც მახლობელი და მშობლიურია ყველა ქვეყნის მუშა ახალგაზრდობისათვის.

თავის მოხსენებაში ა. კლიმოვმა ილაპარაკა, თუ რა შემოქმედებითი, თავისუფალ შრომას ეწევა საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც სოციალისტური წყობილების პირობებში გაიზარდა და რომლისთვისაც ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

საბჭოთა ახალგაზრდობა, სთქვა ორატორმა, მუშაობს თავისთვის, საკუთარი ხალხის საკეთილდღეოდ. შარშან, არასრული ცნობების მიხედვით, სსრ კავშირის 1.250 ათასმა ახალგაზრდა მუშამ ვადამდე შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა, 200 ათასამდე კაცმა ორ-ორი, სამ-სამი წლიური გეგმა შეასრულა და 20 ათასმა კაცმა ხუთწლიანი პროგრამა დაამთავრა.

სულ სხვა სურათს ვხედავთ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ ქვეყნების ახალგაზრდობას მუდამ თვალწინ უდგას უმუშევრობისა და სიღატაკის აჩრდილი. განა ამერიკელ ახალგაზრდებს შეუძლია უზრუნველყოფილად მიიჩნიოს ხვალინდელი დღე, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა 6 მილიონამდე უმუშევარი ირიცხება? ინგლისში ლეიბორისტული მთავრობა აიძულებს მშრომელთ მაგრად შემოიჭირონ ქამარი ინგლის-ამერიკის მონოპოლიების ინტერესებისათვის. კაპიტალიზმის ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში რეაქციონერები ახალგაზრდობას შოვინიზმის შხამითა და ომის ფსიქოზით უწამლავენ გონებას. ამიტომ მშრომელი ახალგაზრდობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გადამწყვეტი ბრძოლა ახალი ომის პროპაგანდისტთა და გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

მომხსენებელმა კონკრეტული მაგალითებით ცხადჰყო, თუ რა მოჩვენებითია ეგრეთ წოდებული ამერიკული „დახმარება ევროპისადმი" ყადაღებული „მარშალის გეგმის" საფუძველზე, გეგმისა, რომელსაც მოჰყვება ეკონომიური კრიზისი, მასობრივი უმუშევრობა და მუშათა კლასისა და მშრომელი ახალგაზრდობის საარსებო დონის შემდგომი გაუარესება.

შემდეგ ორატორი შეჩერდა ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში ჩამდგარი მემარჯვენე სოციალისტების გამცემლურ როლზე, რომლებმაც თავიანთი ხალხების ინტერესებს უღალატეს.

მსოფლიოს მთელი დემოკრატიული ძალების ერთიანობა და ერთობლივი მოქმედება, სთქვა დასასრულ მომხსენებელმა, აი რა არის მთავარი [illegible]

ვარშავა, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს მუშა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციაზე გრძელდებოდა კამათი მოხსენებათა გამო. დელეგატებმა დიდი ინტერესით მოისმინეს სამხრეთ კორეის ახალგაზრდობის წარმომადგენლის აუ ხვან ტუს და ჩრდილო კორეის ახალგაზრდობის წარმომადგენლის ო იუ ცუკის სიტყვები.

იმ დროს, როცა სამხრეთ კორეის ახალგაზრდობის წარმომადგენელი აუ ხვან ტუ ლაპარაკობდა კორეის ახალგაზრდობის უუფლებობასა და შრომის მძიმე პირობებზე, ჩრდილო კორეის ახალგაზრდობის წარმომადგენელმა ო იუ ცუკმა კონფერენციას უამბო კორეელი ხალხის უდიდეს წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია იმის მეოხებით, რომ ხელისუფლება ხალხს გადაეცა და უმნიშვნელოვანესი რეფორმები განხორციელდა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ო იუ ცუკის განცხადებამ, რომ ჩრდილო კორეის ახალგაზრდობის 90 პროცენტმა მოისპო თავისი წერაკითხვის უცოდინარობა, რომ ახალგაზრდობა აქტიურად აშენებს თავის დემოკრატიულ სახელმწიფოს და მას ფართო შესაძლებლობა გააჩნია თავისი სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის.

ბულგარეთის დელეგატმა სტანკო ტოდოროვმა მოიყვანა ცნობები დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში ბულგარელი ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია, — სთქვა მან,— იცავს ახალგაზრდობის უფლებებსა და შრომას. ბულგარელი ახალგაზრდობა აღარ განიცდის კაპიტალისტურ ექსპლოატაციას და თანაბარი შრომისათვის თანაბარ ხელფასს იღებს. უფრო მეტიც, თავისი საბჭოთა ამხანაგების მაგალითისამებრ ბულგარელმა ახალგაზრდობამ ფართოდ გაშალა ბრძოლა ტექნიკის დაუფლებისა და შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. მკვეთრად გაუმჯობესდა ახალგაზრდობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

ბულგარელ ახალგაზრდობას, — განაგრძო ტოდოროვმა, — ეს კონფერენცია მიაჩნია უდიდეს წვლილად მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და საუკეთესო ცხოვრებისათვის ბრძოლის, ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმისა და მისი აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

გერმანიის დემოკრატიული ახალგაზრდობის წარმომადგენელმა აქსენმა, რომელიც კონფერენციას მეთვალყურის სახით ესწრება, მწვავედ გააკრიტიკა დასავლეთი სახელმწიფოების პოლიტიკა, რომელიც მიმართულია გერმანიის გასათიშავად. ეს პოლიტიკა, — განაცხადა მან, — სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობის საქმისათვის. გერმანიის დემოკრატიული ახალგაზრდობა სიხარულით მიესალმება საგარეო საქმეთა მინისტრების ვარშავის კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

აქსენმა დაარწმუნა კონფერენცია, რომ გერმანიის დემოკრატიული ახალგაზრდობა განახორციელებს მუშა ახალგაზრდობის ვარშავის საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

კონფერენციაზე დიდი ყურადღებით მოისმინეს უკრაინის სსრ ახალგაზრდობის წარმომადგენლის გიორგი შეველიოვის სიტყვა, რომელმაც კონფერენციას უამბო უკრაინის სსრ ახალგაზრდობის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. უკრაინის სსრ ახალგაზრდობის წარმომადგენელს ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას მქუხარე ტაშით და ოვაციებით საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

იტალიელი ახალგაზრდობის ცხოვრებასა და ბრძოლაზე კონფერენციას უამბო დელეგატმა რენატო ტეციმ. ამჟამად,—სთქვა მან,—იტალიის რეაქცია ინგლის-ამერიკის იმპერიალისტური წრეების დახმარებით ცდილობს ჩაახშოს იტალიის მუშათა მოძრაობა. განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ეგრეთწოდებული „მარშალის გეგმა", რომელიც ხელს უწყობს მუშათა კლასის საარსებო პირობების გაუარესებას, უმუშევრობის ზრდას, იტალიის ეკონომიკის სრულ განადგურებას, აგრეთვე იტალიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საფრთხის შექმნას.

ამჟამად, — აღნიშნა ორატორმა, — იტალიის 45 მილიონ მოსახლეობაში ქალაქად 2 მილიონი უმუშევარი ითვლება, აქედან 850 ათასი 14-21 წლის ასაკის ახალგაზრდაა. უმუშევრობის გამო გაცემული დახმარება ძლივს ჰყოფნის ერთი კილოგრამი პურის ყიდვას. უმუშევართა რაოდენობა სოფლად 2,5 მილიონ კაცს აღწევს. ამასთან ისინი, ისე როგორც ბავშვები 8 წლის ასაკამდე, არავითარ დახმარებას არ იღებენ.

პიზის ასანთის ფაბრიკაში,—განაგრძო ტეციმ,—დაითხოვეს 110 მუშა იმის საფუძველზე, რომ ასანთი ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოაქვთ. ფირმა „ფიატი" ტურინში აგრეთვე ამცირებს მუშათა რაოდენობას. მილანში მრეწველთა უკანასკნელ კრებაზე მუშავდებოდა 40 ათასი მუშის დათხოვნის გეგმა. [illegible] ზომად მუშაობს 12 წლის ბავშვები. შრომის სასტიკი ექსპლოატაცია იმას იწვევს, რომ ბავშვთა 60-ზე მეტ პროცენტს შესაძლებლობა არა აქვს ისწავლოს, დაისვენოს და უდროოდ ბერდება. მაღაროელი ახალგაზრდობის ერთიანობისა, აგრეთვე ორგანიზაცია „გარიბალდიელთა ავანგარდების" და პროფკავშირების მხრივ დახმარების მეოხებით, უკანასკნელ დროს მოხერხდა ბავშვის შრომის შემსუბუქება.

მძიმე პირობებში იმყოფება გლეხი ახალგაზრდობა, რომელსაც სამუშაო აქვს წელიწადში მხოლოდ 4 თვეს, ხოლო დანარჩენ დროს ღატაკურად ცხოვრობს.

ტეციმ აღნიშნა, რომ პროფკავშირთა ახალგაზრდული კომისიების, „გარიბალდიელთა ავანგარდების", ახალგაზრდობის ფრონტის, ქალთა ახალგაზრდობის იტალიის კავშირის მიერ მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ინტერესთა აქტიურმა დაცვამ მათ მშრომელი ახალგაზრდობის უდიდესი სიმპათია მოუხვეჭა. ამჟამად იტალიაში ითვლება 81 ახალგაზრდული კომისია, რომლებიც ხელმძღვანელობენ და დახმარებას უწევენ ძალით ქარხნის და სოფლის ახალგაზრდულ კომისიებს ადგილებზე. 1947 წელს იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მილიონნახევარზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი გააერთიანა.

ტეციმ აღნიშნა იტალიელი მშრომელი ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობის უდიდესი ზრდა, მისი მისწრაფება ერთიანობისადმი და მისი თავდადება რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რამაც განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი 14 ივლისის საყოველთაო გაფიცვის პერიოდში.

კონფერენციაზე გამოვიდნენ აგრეთვე ჰოლანდიის, ნორვეგიის, ჩინეთის, მებრძოლი საბერძნეთის, ბელგიის, კანადის, ავსტრალიის, საფრანგეთისა და ალბანეთის ახალგაზრდობის დელეგატები.

დარბაზობა იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრ სიმიჩთან დუნაის კონფერენციის მონაწილეთა პატივსაცემად

ბელგრადი, 11 აგვისტო. (საკდესი). გუშინ იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. სიმიჩმა დარბაზობა გამართა დუნაის ბელგრადის კონფერენციის მუშაობის მონაწილე უცხოეთის დელეგაციათა პატივსაცემად. მიღებას დაესწრნენ კონფერენციის მონაწილე ყველა დელეგაციის მეთაურები და წევრები, აგრეთვე იუგოსლავიის მთავრობის წევრები და პრესის წარმომადგენლები.

ამერიკის დაზვერვის ავაზაკური ზნე-ჩვეულება

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. (საკდესი). რუსეთის თეთრგვარდიულმა ემიგრანტულმა ელემენტებმა, რომლებმაც თავშესაფარი შეერთებულ შტატებში ჰპოვეს, უკანასკნელ დროს ისე აიშვეს თავი (აშკარაა, ადგილობრივ ხელისუფალთა დასტურით), რომ წმინდა ბანდიტურ მოქმედებას მიმართავენ აქ მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეების მიმართ და კიდეც იტაცებენ მათ. გასულ კვირაში — 31 ივლისს ნიუ-იორკის ნავსადგურიდან ოდესას მიემგზავრებოდა საბჭოთა გემი „პობედა". სხვა მგზავრთა შორის ამ გემით სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო ნიუ-იორკის საბჭოთა სკოლის მასწავლებელთა შემადგენლობა. აღმოჩნდა, რომ გამოურკვეველი მიზეზების გამო გემზე არ გამოცხადდნენ საბჭოთა მოქალაქეები — ამ სკოლის მასწავლებელი ოქსანა სტეფანეს ასული კასიენკინა და მათემატიკის მასწავლებელი მიხეილ ივანეს-ძე სამარინი ცოლითა და სამი მცირეწლოვანი შვილით, თუმცა მათი ბარგი წინასწარ ჩაბარდა გემს. ისინი არ აღმოჩნდნენ არც ბინებში. რამდენიმე დღის განმავლობაში მათი ადგილსამყოფელის შესახებ არაფერი იცოდნენ.

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, 7 აგვისტოს, საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა ნიუ-იორკში ლომაკინმა კასიენკინასაგან მიიღო წერილი, რომლითაც იგი ევედრებოდა მას — ეხსნა რუს თეთრგვარდიელ ბანდიტთა ტყვეობისაგან. „მე არ გამიცია ჩემი ხალხი, არ მიღალატნია, არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია... მე ჩემი სამშობლოს გულწრფელი ერთგული ვარ, მიყვარს იგი და ჩემი ხალხი.. გევედრებით, ერთხელ კიდევ გევედრებით მიხსენით აქ მოსალოდნელი დაღუპვისაგან",—სწერდა კასიენკინა პატარა ბარათში, რომელიც ფარულად გაეგზავნა გენერალურ კონსულს.

გენერალური კონსული საკონსულოს თანამშრომელთა თანხლებით კასიენკინას მიერ ნაჩვენები მისამართით გაემგზავრა. მიღებული მისამართი აღმოჩნდა მისამართი შეერთებულ შტატებში თეთრგვარდიელთა ერთ-ერთი ბუნაგის — ნიუ-იორკის მიდამოებში არსებული ეგრეთწოდებული „რიდ ფარმისა", რომელსაც ყოფილი გრაფინია ალექსანდრა ტოლსტაია მეთაურობს.

ლომაკინი სახლის პატრონებისათვის მოულოდნელად მივიდა, თეთრგვარდიელმა ბანდიტებმა იმის გაგებაც კი ვერ მოასწრეს, თუ რა მოხდა, რომ კასიენკინა, დაინახა თუ არა თავისი მხსნელები, ლომაკინის ავტომანქანასთან მივიდა. თეთრგვარდიელთა საკმაოდ დიდმა ჯგუფმა მაინც მოასწრო თავს დასხმოდა მანქანას და დაეზიანებინა იგი, მაგრამ ამან სსრ კავშირის გენერალურ მდივანსა და მის თანმხლებ პირებს ხელი ვერ შეუშალა მშვიდობით ჩაეყვანათ კასიენკინა ნიუ-იორკში.

საკონსულოში მისვლისას ლომაკინმა დაუყოვნებლივ მოიწვია პრეს-კონფერენცია, რომელზეც კასიენკინამ პრესის წარმომადგენლებს მოუთხრო მისი მოტაცების ამბავი.

„ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე „პობედის" გამგზავრებამდე შევამჩნიე, რომ თვალყურს [illegible] ბოდა. მან მაიძულა უახლოეს სკამზე დავმჯდარიყავი თითქოს იმისათვის, რომ რაღაც მეტად მნიშვნელოვანი ეთქვა და კვლავ დამიწყო ჩვეწნა — საბჭოთა კავშირში ნუ დაბრუნდებით. როცა აღშფოთებით უარვყავი მისი წინადადება, იგი უეცრად დაიხარა ჩემსკენ რაღაც საგნით ხელში, და მე ვიგრძენი ხელისა და მკლავის ტკივილი. პირველად ვერც კი მივხვდი, რომ რაღაც სითხე შემიშხაპუნა, მაგრამ მალე თავი ძლიერ ცუდად ვიგრძენი და იმის გაგების უნარიც კი დამეკარგა, თუ გარშემო რა ხდებოდა. როგორც იქნა სახლამდე მივედი და ლოგინში ჩავწექი.

მეორე დღეს უნდა გასულიყო „პობედა". დილით, შეშხაპუნების გამო სრულიად ავადმყოფი, ჩემი ბინის მეზობელ ამხ. ეფსტიფეევასთან ერთად გამოვედი, რათა უკანასკნელი საჭირო საგნები მეყიდა. მაგრამ შესასვლელთან დავინახე ავტომობილი, რომელშიც კორკინსკი იჯდა. ისე შევშინდი, რომ გადავწყვიტე შინ დავბრუნებულიყავი. უკან გამომიდგა ამ მანქანის შოფერი. შოფერმა აიღო ჩემი ნივთები და მანქანაში შემავდო, სადაც კორკინსკი უკვე აღარ იყო. მე დღემდე არ ვიცი, რატომ გავყევი მას. მახსოვს მხოლოდ ჩემი მიერ განცდილი შიში. მიმიყვანეს ბინაში ვიღაც კაცთან რივერსაიდ დრაივზე, მე-100 ქუჩის მახლობლად. მალე შევიტყე, რომ ეს კაცი იყო ვლადიმერ მიხეილის-ძე ზენზინოვი (ამერიკაში თეთრგვარდიული ბანდების ცნობილი ხელმძღვანელი. — საკდესის კორესპონდენტის შენიშვნა). მან მთელი ჩემი ნივთები თავის ბინაში დასტოვა, მე კი წამიყვანა ეგრეთწოდებულ „რიდ ფარმში", ნიუ-იორკის შტატში. იქ მე მიმიღო ქალმა, რომელმაც თავის თავს უწოდა ყოფილი გრაფინია ალექსანდრა ტოლსტაია. მან მითხრა, შენ მარტო როდი ხარ და სადღაც მახლობლად ცხოვრობს სამარინი ოჯახიანად. ტოლსტაიამ მითხრა, უნდა იმუშაოთ, და გამგზავნა:

„წადით, სამზარეულოში იმუშავეთ".

სამზარეულოში ვასრულებდი უაღრესად მძიმე სამუშაოს და იქ გავატარე „რიდ ფარმში" ყოფნის მთელი დრო. მეძინა აივანზე, ამასთან გარშემო მუდამ ვიღაცები დაიარებოდნენ. ძალიან მკაცრად მდარაჯობდნენ. „რიდ ფარმში" მისვლის მეორე დილას ტოლსტაიამ მომთხოვა: გაზეთში დამეწერა სტატია, რომ რუსეთში ყველას ციმბირში გზავნიან და ამიტომ გადავწყვიტე „თავისუფალ დემოკრატიულ ამერიკაში" დავრჩენა. მე გადაჭრით უარი ვუთხარი. მაშინ ტოლსტაიამ მუქარით მითხრა: „ჯაშუში, რომელიც ჩემთვის საჭირო იყო, დავიჭირე. ჩვენ ძალიან მოხერხებული ხალხი ვართ". ეს მუქარა, როგორც ჩანს, მე მეხებოდა. შემდეგ რატომღაც მაჩვენებდნენ სხვადასხვა ამერიკელი ჟურნალისტების ფოტოგრაფიულ სურათებს. ეს აშკარა პროვოკაცია იყო, რათა ჩემთვის ბრალად დაედოთ ჯაშუშობა. მთელი დღეების განმავლობაში ვეძებდი საშუალებას შემეტყობინებინა საბჭოთა ხელისუფალთათვის ჩემი ადგილსამყოფელი. წერის ნებას არ მაძლევდნენ, მაშინ ვუთხარი, მინდა ზენზინოვს მივწერო, რომ ქალაქიდან ჩემი ნივთები გამოგზავნოს-მეთქი. საბაბი მოხერხებული აღმოჩნდა. მე მოკლე ბარათი მივწერე ამხანაგ ლომაკინს, რაც ერთ-ერთ საბჭოთა ნაცნობს გადაეგზავნა.

როცა სამზარეულოში ვმუშაობდი, ფერმაში მოვიდა ვიღაცის სატვირთო მანქანა ბოსტნეულის წასაღებად და მისი შოფერი დამთანხმდა ჩემი წერილის გაგზავნაზე. მეორე დღეს ფერმის ეზოში დავინახე, რომ ფერმას უახლოვდებოდა მანქანა, რომელშიც ჩემი გამათავისუფლებელნი ისხდნენ".

როგორც კასიენკინას ნაამბობიდან ჩანს, ფაშისტი თეთრგვარდიელი განგსტერები თავიანთ საქმეს სრულიად დაუსჯელად აკეთებენ ნიუ-იორკის ქუჩებში. მათი ბუნაგის არსებობა „რიდ ფარმში" ცნობილია ყველა ადგილობრივ ხელისუფლისათვის, მაგრამ დღემდე არ მიუღიათ არავითარი ღონისძიება ამ ბანდის ალაგმვისა და საბჭოთა მოქალაქეების უშიშროების უზრუნველსაყოფად. ინტერესს მოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ გენერალურმა კონსულმა ამხ. ლომაკინმა კასიენკინას წერილის შინაარსი აცნობა პოლიციას და სთხოვა ხელი შეეწყო მის განთავისუფლებაში ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ „რიდ ფარმში" გაემგზავრებოდა. მაგრამ ნიუ-იორკის პოლიცია იქ მხოლოდ მას შემდეგ მივიდა, რაც კასიენკინა და ლომაკინი უკვე ნიუ-იორკს გაემგზავრნენ.

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. [illegible] კონსულში იმყოფება.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ სხდომის შემდეგ კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მუნდტმა განაცხადა, რომ იგი ნიუ-იორკში საბჭოთა კავშირის საკონსულოს დიპლომატიური ხელშეუხებლობის საკითხს განიხილავდა სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველ ბოლენთან ერთად. იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აცხადებს, რომ ანტიამერიკული მოღვაწეობის გამომძიებელი კომისია ცდილობს მიიღოს განმარტება, შეუძლიათ თუ არა კომისიის წევრებს შევიდნენ ნიუ-იორკის საბჭოთა საკონსულოს შენობაში „იმისათვის, რომ დაჰკითხონ კასიენკინა".

მუნდტმა განაცხადა, რომ კასიენკინას შესახებ მან პირველად გაიგო „იმ პირისაგან, რომლის ვინაობასაც იგი ვერ დაასახელებს".

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ნიუიორკელი კორესპონდენტი იუწყება, დღისით 8 აგვისტოს თეთრგვარდიული „ტოლსტოის ფონდის" ხელმძღვანელმა ალექსანდრა ტოლსტაიამ აღიარა, რომ საბჭოთა სკოლის „დაკარგული" მასწავლებელი სამარინი თეთრგვარდიელებმა „დამალეს". თავდაპირველად ტოლსტაიამ განაცხადა, რომ სამარინი დამალა თეთრგვარდიულმა „მიწისქვეშა რკინიგზამ" (დამალვის სისტემა). შემდეგ ტოლსტაიამ სხვა განცხადება გააკეთა. მან სთქვა, რომ თუმცა გამოყენებულ იქნა „მიწისქვეშა რკინიგზის" მეთოდები, მიუხედავად ამისა, ორგანიზებული „მიწისქვეშა რკინიგზა" თითქმის არ არსებობს.

გერმანიის გათიშვის დამთავრების გეგმებისათვის

დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს კონსტიტუცია

ბერლინი, 11 აგვისტო. (საკდესი). როგორც დენის სააგენტო იუწყება, 10 აგვისტოს ხიმზეეს ტბის (ბავარია) კუნძულზე დაიწყო დასავლეთ გერმანიის კონსტიტუციის გამომმუშავებელი კონფერენციის პირველი ოფიციალური სხდომა. კონსტიტუციის შემუშავებაში მონაწილეობს დასავლეთ გერმანიის 11 მხარის 22 სპეციალისტი მთავრობათა წარმომადგენლების მცირე შტატთან ერთად. ჟურნალისტებს კუნძულზე ჩასვლა აკრძალული აქვთ.

ლონდონი, 11 აგვისტო. (საკდესი). როიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი გადმოგვცემს, რომ კონფერენცია ხიმზეეს ტბის კუნძულზე წინასწარი ნაბიჯია ამ თვის დამლევისათვის საპარლამენტო საბჭოს მოწვევის წინ.

კონფერენციის ეს მიზანი, აღნიშნავს მიმომხილველი, დაადასტურეს ლონდონელმა ავტორიტეტულმა წრეებმა, ხოლო პოლიტიკური წრეები კომენტარს იძლევიან, რომ დასავლეთ გერმანიის შექმნის ღონისძიებანი უფრო სწრაფად ხორციელდება, ვიდრე ნავარაუდევი იყო.

საბჭოთა საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში მოითხოვს მოტაცებული საბჭოთა მოქალაქეების განთავისუფლებას

ვაშინგტონი, 11 აგვისტო. (საკდესი). 9 აგვისტოს სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. პანიუშკინი ეწვია სახელმწიფო მდივნის მოადგილე ლოვეტს და ნოტა გადასცა საბჭოთა მოქალაქეების—მასწავლებლების ო. ს. კასიენკინას და მ. ი. სამარინისა და მისი ცოლისა და სამი შვილის მოტაცების გამო. ნოტაში აღნიშნულია, რომ ხსენებული საბჭოთა მოქალაქენი 31 ივლისს მზად იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამგზავრებულიყვნენ სსრ კავშირში გემ „პობედათი" და ხელთ ჰქონდათ ყველა გაფორმებული დოკუმენტი და სამგზავრო ბილეთები. მაგრამ გემის გასვლის მომენტში ისინი გემზე არ მისულან და, როგორც შემდეგ გამოირკვა, ისინი მოეტაცებიათ იმ თეთრგვარდიული ორგანიზაციის აგენტებს, რომელიც თავს „ტოლსტოის ფონდს" უწოდებს.

„საბჭოთა მოქალაქეების — კასიენკინას და სამარინისა და მისი ოჯახის მოტაცების ზემოხსენებული შემთხვევები, — ნათქვამია საბჭოთა საელჩოს ნოტაში, აგრეთვე მთელი რიგი სხვა შემთხვევები, რომლების გამო საელჩოს ერთ დროს მიმოწერა ჰქონდა სახელმწიფო დეპარტამენტთან, მოწმობენ, რომ ორგანიზაცია, რომელსაც ტოლსტაია უდგას სათავეში, სისტემატურად ეწევა საბჭოთა კავშირისადმი მტრულ საქმიანობას და იმასაც კი არ ერიდება, რომ ძალით მოიტაცოს საბჭოთა მოქალაქეები, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ზოგიერთი ორგანო ყურადღებას არ აქცევს"... სსრ კავშირის საელჩომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პროტესტი განაცხადა საბჭოთა მოქალაქეების კასიენკინას და სამარინისა და მისი ოჯახის ძალით მოტაცების წინააღმდეგ, აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ორგანოები ხელს არ უშლიან ორგანიზაციის დანაშაულებრივ მოქმედებას, რომელიც აშკარად მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ და რაც, კერძოდ, იმით გამოიხატება, რომ ყოველგვარი იძულებითი საშუალებით დააბრკოლონ საბჭოთა მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნება, რათა ისინი გამოიყენონ საბჭოთა კავშირისადმი მტრული მიზნით.

„სსრ კავშირის საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში მოელის, — ნათქვამია ნოტის დასასრულს, — რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ღონისძიებას იხმარს, რათა დაუყოვნებლივ გათავისუფლებულ იქნას სამარინი და მისი ოჯახი და გადაცემულ იქნას სსრ კავშირის ნიუ-იორკის გენერალური საკონსულოს მფარველობაში, სანამ სამშობლოში გამოემგზავრებოდნენ. ამასთან საელჩო მტკიცედ მოითხოვს, რომ შესწყდეს ეგრეთწოდებული „ტოლსტოის ფონდის" საქმიანობა, რაც არ შეესაბამება იმ ვალდებულებებს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ იკისრა საბჭოთა კავშირის მიმართ".

პანიუშკინმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ლოვეტს გადასცა ნოტა კასიენკინას და სამარინის ოჯახის საქმის გამო და მოითხოვა, რომ სამარინი დაუყოვნებლივ გადასცენ საბჭოთა გენერალურ საკონსულოს ნიუ-იორკში. ამ მოთხოვნის პასუხად ლოვეტმა განაცხადა, რომ ამერიკული პრესის ცნობები ეწინააღმდეგება ერთმანეთს და ამიტომ „ტოლსტოის ფონდის" ორგანიზაციაში სამარინის წასვლის ნამდვილი სურათის გამორკვევა ძნელია. ლოვეტმა დასძინა, თითქოს სამარინი თვითონ გამოცხადდა კვლევაძიების ფედერალურ ბიუროში და მისცა ჩვენება, რომელიც ცნობილია სახელმწიფო დეპარტამენტისათვის, მაგრამ იქვე განაცხადა, რომ კვლევაძიების ფედერალურმა ბიურომ არ იცის, თუ სად იმყოფება სამარინი. ამხ. პანიუშკინმა ლოვეტს უპასუხა, რომ ფედერალური ბიუროს განცხადება სინამდვილეს არ შეესაბამება. ერთადერთი რამ, რაც შეიძლება მართალი იყოს, ის არის, რომ კვლევაძიების ფედერალურმა ბიურომ აიძულა სამარინი გამოცხადებულიყო მის კანტორაში და იძულებით დაჰკითხა. კვლევაძიების ფედერალურმა ბიურომ იცოდა, რომ „ტოლსტოის ფონდმა" ძალად წაიყვანა სამარინი, და საბჭოთა საელჩოსათვის ნათელია, რომ ორივე ამ ორგანიზაციამ უეჭველად იცის, თუ სად იმყოფება სამარინი. ამხ. პანიუშკინმა მოითხოვა სამარინის დაუყოვნებლივ განთავისუფლება და გენერალური საკონსულოსათვის მისი გადაცემა სამშობლოში გასაგზავნად, აგრეთვე სათანადო ღონისძიებათა ხმარება „ტოლსტოის ფონდის" წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის ელჩის ამხ. პანიუშკინის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 11 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ს. პანიუშკინმა საბჭოთა საელჩოში მოწვეულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მან ლოვეტს გადასცა საელჩოს ნოტა კასიენკინას და სამარინისა და მისი ოჯახის მოტაცების შესახებ. პანიუშკინმა შეკრებილთ გააცნო ნოტის შინაარსი.

პანიუშკინმა სთქვა, რომ საინტერესოა აღინიშნოს კვლევაძიების ფედერალური ბიუროს პოზიცია ამ საქმეში: ტოლსტაიას სიტყვით, რაც მოყვანილი იყო გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში", ტოლსტაიამ აცნობა კვლევაძიების ფედერალურ ბიუროს (ამერიკის დაზვერვა), რაც მოხდა, და რომ მას უთხრეს, ეს საქმე იმიგრაციის ხელისუფალთა კომპეტენციას შეადგენს, რამდენადაც კასიენკინას ვიზას ვადა გაუდიოდა. ამრიგად, კვლევაძიების ფედერალურმა ბიურომ იცოდა, თუ სად იმყოფებოდა კასიენკინა.

მუნდტის განცხადებებიდან და ალექსანდრა ტოლსტაიას ჩვენებიდან სულ უფრო გარკვეული ხდება, თუ რა მჭიდრო ურთიერთობა აქვთ რუს თეთრგვარდიელებს ამერიკის დაზვერვასთან, რომელიც თეთრგვარდიელებს თავისი განზრახვების იარაღად იყენებს.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. (საკდესი). უშიშროების საბჭო განაგრძობს იუგოსლავიის იმ საჩივრის განხილვას, რომ შეერთებული შტატები და ინგლისი ტრიესტს უკავშირებენ იტალიას ფინანსურად და ეკონომიურად და ცდილობენ სავსებით შეუერთონ ტრიესტი იტალიას, რითაც ირღვევა იტალიასთან საზავო ხელშეკრულება და საგარეო საქმეთა მინისტრების გადაწყვეტილებანი. საბჭოთა წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა ენერგიულად დაუჭირა მხარი იუგოსლავიის მოსაზრებებს და მოუწოდა უშიშროების საბჭოს—დაუყოვნებლივ იხმაროს ღონისძიებანი ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის გუბერნატორის ასარჩევად. ამერიკის წარმომადგენელმა ჯესეპმა და ინგლისის წარმომადგენელმა კადოგანმა, რომელნიც მალიკამდე გამოვიდნენ, სცადეს უარეყოთ იუგოსლავიის ბრალდებანი და წინადადება შეიტანეს მოსთხოვონ ინფორმაცია იუგოსლავიის მთავრობას ტრიესტის იუგოსლავიური ზონის მართვის შესახებ.

საბჭო 13 აგვისტოს განაგრძობს იუგოსლავიის საჩივრის განხილვას. 12 აგვისტოს საბჭო დახურულ სხდომაზე განიხილავს გენერალური ასამბლეის მოხსენებას.

საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ მიიღო რეინოს კანონპროექტი

პარიზი, 11 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს დილაადრიან, სხდომის შემდეგ, რამაც მთელ ღამეს გასტანა, ეროვნულმა კრებამ კენჭი უყარა რეინოს კანონპროექტს ფინანსურ და ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ. კანონპროექტს ხმა მისცა 325 დეპუტატმა, წინააღმდეგ კი — 215 დეპუტატმა. კენჭისყრისაგან თავი შეიკავა 49 დეპუტატმა.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

სტოკჰოლმი, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს ტურნირზე გათამაშდა მე-16 და მე-17 ტურებიდან გადადებული პარტიები. გადადებულ პარტიაში ბირცმა მოუგო ლილიენტალს. ბრონშტეინ-ფლორის, ბონდარევსკი-საბოს, ბონდარევსკი-შტალბერგისა და იანოვსკი-პახმანის პარტიები ფრედ დამთავრდა. გადადებული პარტიების დამთავრებისა და მე-17 ტურის შემდეგ ტურნირის მონაწილეთა ქულები და ადგილები შემდეგნაირად ნაწილდება:

საბო — 12, ბრონშტეინი — 11,5, ბოლესლავსკი — 11, კოტოვი — 10,5, ლილიენტალი — 10, ფლორი და ტრიფუნოვიჩი — 9,5, ბონდარევსკი, ნაიდორფი, შტალბერგი — 9, ბირცი, გლიგორიჩი, ბეკი — 8,5, იანოვსკი — 8, რაგოზინი და ტარტაკოვერი — 7,5, პახმანი და შტოლცი — 6, შტეინერი — 5, ლუნდინი — 3,5.

11 აგვისტოს ტურნირზე თავისუფალი დღეა. 12 აგვისტოს შესდგება მორიგი მე-18 ტური. ამ ტურში თამაშობენ: ტარტაკოვერი-ტრიფუნოვიჩი, ნაიდორფი-ფლორი, კოტოვი-ბეკი, ლილიენტალი-რაგოზინი, ბოლესლავსკი-ბირცი, ბონდარევსკი-გლიგორიჩი, იანოვსკი-შტალბერგი, შტოლცი-საბო, ლუნდინი-პახმანი, შტეინერი-ბრონშტეინი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

მოქალაქე **ევგენი ალექსანდრეს-ძე მედვედევმა,** მცხოვრებმა საბა-სულხანის ქ. № 7, აღძრა საქმე ხიდის ქ. № 1 მცხოვრებ მოქალაქე **ალექსანდრა ვასილის ასულ სანდღვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **მიხეილ მოსეს-ძე კანევსკიმ,** მცხოვრებმა ფედოროვის ქ. № 11. აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **იდა გრიგოლის ასულ კანევსკაიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიისა და ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ინჟინერ-კლიმატოლოგ **ეთერ სიმონის ასულ გულისაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-VIII, 8 ს. გამოსვენება 15-VIII, 6 ს. ხრამჰესის, 20.

მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და ბაქტერიოფაგის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ კალისტრატე ჩიქოვანს მისი მამის **ერმილე ჩიქოვანის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ანასტასია, შვილები ნინო, შალვა, შოთა ოჯახებით, ძმა გაბო ოჯახით, დები მარიამ მალალურაძისა და კატო წერეთლისა, სიძე იგორ წერეთელი იუწყებიან **ამბროსი სილოვანის-ძე გეწაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-VIII ქ. ზესტაფონში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის — 3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24. მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 00100